

ვანტანგ ჭანკოტაძე

# კასი - ლეგენდა



ტრიფონ  
გამსახურდია

თუ სხვის სევდამ გაძახაროს,  
შეებას აღარ ვეღიროსო,  
ზეცამ შეხი დამახლოოს,  
სააწმეოდ, სამემრისოდ.

ჩემს ბატნარში სხვისმა ღარღმა  
„ძროხა“ თუ ვერ აძოვა,  
მაშინ ღედამ ჩისთვის მზარდა,  
ძუძუ ჩისთვის მაწოვა!!

თან დამეგება სხვისი სევდა,  
მეც მასაგით მაწახებს,  
თუ შემოვხვდი გზაზე ზედად,  
შემოვავლოვჯ მარწახებს.

ჩემი გარჯით თუკი მოძმეს,  
ჭირი შესუმცირდება,  
ღმერთმა მეტი ძალა მომცეს,  
მადლობა არ მჭირდება.

ვახტანგ ჭანკოტაძე

# კასი - ლეგენდა

ტრიფუნ  
გამსახურდია

2017

წიგნი გამოიცა

ქ. გორის მაჟორიტარი დეპუტატის  
ბატონ იოსებ (სოსო) მაკრახიძის  
მხარდაჭერით.



## წინათქმა

ტრიფონ პეტრეს ძე გამსახურდიას მოვლინება დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ძალებს იკრებდა რუსეთის დიქტატი მთელს ამიერკავკასიაში და მათ შორის საქართველოში.

რუსეთის იმპერიის ზენოლა დღითიდღე ძლიერდებოდა. ისედაც მცირემინიან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების დიდი ნაწილი რუსეთის ინტერესებს იყო დაქვემდებარებული. ძალიან გაუჭირდა გლეხობას. ტემპი აიღო მიგრაციულმა პროცესებმა. გლეხები მასიურად მიდიოდნენ მეზობელ ქვეყნებში სარჩო-საბადებელის მოსაპოვებლად. დიდი ნაწილი მიანყდა ახლად წარმოქმნილ სამრეწველო ობიექტებს. იწყებოდა მუშათა კლასის ჩამოყალიბების ურთულესი ეტაპი. იმავდროულად, იზრდებოდა უკმაყოფილება მცირედი ანაზღაურების გამო.

გახშირდა ამბოხი და აჯანყებების მცდელობები. იგრძნობოდა, რომ მზადდებოდა 1905-1907 წლების რევოლუცია. იზრდებოდა ასევე რუსეთის იმპერიის რეპრესიების ხარისხი და მასშტაბები. ქვეყანაში იყო უმძიმესი ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა.

იყო შიმშილი, ავადმყოფობა, სიცხე და გაუნათლებლობა. უჭირდა ხალხს.

ასეთ პირობებში ძალიან ძნელი უნდა ყოფილიყო თავის გატანა, მითუმეტეს პეტრე გამსახურდიას თორმეტსულიანი ოჯახისათვის.

კარგად არის ცნობილი, რომ „დიდი კაცების“ უმრავლესობა სწორედ რომ რთულ გარემოშია გაზრდილი და კაცად ჩამოყალიბებული.

ერთ-ერთი გახლავთ ამ პატარა წიგნის მთავარი პერსონაჟი, ტრიფონ პეტრეს ძე გამსახურდია, რომელმაც განვლო ურთულესი პრობლემებით აღსავსე ცხოვრების გზა და მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია საკუთარი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას.

დაიბადა, გაიზარდა, ისწავლა, იღვანა და თავისი კაცური და უანგარო გარჯით სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი.

კაცობრიობის ისტორია, ანტიკური ხანიდან ვიდრე დღემდე, იცნობს (უნახია, დაჰკვირვებია, შეუსწავლია) მრავალ ბუნებრივ თუ ადამიანის გონებისა და ხელით შექმნილ საოცრებას, დაწყებული სემირამიდას ბაღებიდან, ლამანშის სრუტის ქვეშ გაყვანილ 37 კმ-იან გვირაბამდე.

მოხდა ისე, რომ ადამიანები უფრო მეტად იცნობენ ამ არქიტექტურულ საოცრებებს, ვიდრე მათ

შემქმნელებს (არანაკლებ საოცარ ადამიანებს თუ ადამიანთა ჯგუფებს). რატომღაც, გაზეთები, ჟურნალები, ტელეარხები და სხვა მედიასამუშალებები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საოცრებათა ავტორებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ საოცრებათა შორის უპირატესად მხოლოდ არქიტექტურული პროექტებია მოხსენიებული. რა ხდება სხვა სფეროებში? ნუთუ სხვა დარგებში არ არსებობს საცრებები?!

მჯერა, მოვა დრო და დღის სინათლეზე მთელი სიდიადით გამოიტანენ ქართულ საოცრებებსაც (ვარძია, საყდრისი, სათაფლია, ახტალა, „ჩაკრულო“ და ა.შ.) და მათი შემქმნელების სახელებსაც. და თუ კი ასეთ ავტორთა ჩამონათვალი შედგება (თუნდაც არაფორმალური, თუნდაც სუბიექტურ პოზიციებზე დამყარებული), ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ სიაში ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავენს ბატონი ტრიფონ გამსახურდია (ძია ტრიფონი), არა როგორც ინჟინერ-მშენებელი ან არქიტექტორი, არამედ როგორც: მაღალი ღირსების გენერატორი, სულიერი სამყაროს გამამდიდრებელი, რაინდული ზნე ჩვეულებების მეზაირახტრე, მაღალი პატრიოტული სტანდარტების გამომჭედი, ყველა ჭრილობის საამო მაღამო; დიდთან დიდი, პატარასთან პატარა; ენერგიული და ხალისიანი; მიმზიდველი ღიმილით, სიკეთის მთესვე-

ლი და ადამიანური ღირებულებების თავგამოდებული დამცველი.

მისი სიტყვებია: „...ყოველდღიურად იზრუნე, რომ შენი გამოცდილება გადასცე სხვას...“ „...ადამიანის მოვალეობაა ემსახუროს ხალხს...“ „...ნუ დაიშურებ სხვისთვის ცოდნის და ენერჯის დახარჯვას; პირადი საქმე გადადე და გაჭირვებულს დაეხმარე...“ „...იყავით თავმოყვარე და უანგარო...“ „...არავინ მოატყუო; ბოროტებას სიკეთით უპასუხე...“ და ა.შ.

დიახ, მჯერა, რომ ტრიფონ გამსახურდია (ძია ტრიფონი) აუცილებლად მოხვდება საოცარ ადამიანთა სიაში (სამომავლო, ფორმალურ სიაში, თორემ არა-ფორმალურ სიაში მან სიცოცხლეშივე დაიკავა საპატიო ადგილი).

ო, ბატონო ტრიფონ, როგორ სჭირდება დღეს თქვენისთანა ერისკაცები საბედისწერო მეტასტაზებით დაკრუნჩხულ, ბედკრული საქართველოს სხეულს.

ღმერთმა გვიმრავლოს თქვენი დარი ქართველები.

**ავტორი**

## სათავეებთან

**„სად დაიბადე, რომელ კუთხეში,  
რომელმა მიწამ გიმღერა ნანა?!  
დავრდომილების იყავ ნუგეში,  
აბიბინებდი სიკეთის ყანას“.**

ტრიფონ პეტრეს ძე გამსახურდია დაიბადა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, სამეგრელოში.

ამ მადლიანი მხარის ხალხს, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ყოველთვის ეჭირა მოწინავე პოზიციები და არაერთხელ უთამაშია გადამწყვეტი როლი, როგორც ქვეყნის მთლიანობის განმტკიცების საქმეში, ისე კულტურის, ეკონომიკის, ხელოვნების, მეცნიერებისა თუ სხვა ტრადიციული დარგების აღორძინებასა და წინსვლაში.

საქართველოს ამ მრავალტანჯულ კუთხეს ოფლითა და სისხლით აქვს გამოვლილი მრავალი ასეული წელი, მაგრამ იგი ყოველთვის მხნედ იდგა დედასამშობლოს სადარაჯოზე და დიდი რუდუნებით ჭედდა უკეთეს მომავალს. ურიცხვი მტრების მიერ ხშირად განადგურებული, დაშლილ-დაქუცმაცებული, ტყე-ღრეში გახიზნული და გადამწვარ-გადაბუგული, ფე-

ნიქსივით აღმდგარა ფერფლიდან და ამაყად გამართულა წელში.

უამრავი ცნობილი და ღვანლმოსილი პიროვნება გამოზარდა ამ კუთხემ და მსოფლიოს გააცნო თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები, მომღერლები, სპორტსმენები (განსაკუთრებით ფეხბურთელები და, მათ შორის, საოცარი მეკარეები), თეატრის, კინოსა და საოპერო ხელოვნების უზარმაზარი არმია, მწერლები, ისტორიკოსები, ფერმწერები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, მედიცინის სხვადასხვა დარგის დიდოსტატები (განსაკუთრებით ქირურგები) და ა.შ.

სამეგრელოს რეგიონი ასევე მუდამ მოწინავე პოზიციებს იკავებდა მრენველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებულ მრავალდარგოვან საქმიანობაში.

ტრიფონ გამსახურდია გახლავთ ამ კუთხის ერთ-ერთი ღირსეული შვილი და დიდებული წარმომადგენელი, რაც მან არაერთხელ დაამტკიცა თავისი ადამიანური ადამიანობით, მაღალი დონის ჰუმანურობით, კაცთმოყვარეობით, უანგარობით, დაულალავი შრომით, მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით, თავმდაბლობით, ყველასადმი კეთილგანწყობით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – დახვეწილი პროფესიონალიზმით.

ბატონმა ტრიფონ გამსახურდიამ თავისი სანიმუშო სიცოცხლის ორმესამედზე მეტი უშურველად და უან-

გაროდ მოახმარა საყვარელი ქართველი ხალხის ჯან-მრთელობის განმტკიცებას.

გასული საუკუნის 20-იან წლებიდან მე-20 საუკუნის დასასრულამდე, მან თავისი რეცეპტურით და თავისივე ხელით დამზადებული სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებით ასობით ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ათეულათასობით შეჭირვებულს მისცა შვება. ცნობილია ფაქტი, რომ ბატონმა ტრიფონმა გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე, როცა თვითონ იყო უმძიმეს მდგომარეობაში (აგონიაში), მოიკრიფა უკანასკნელი ძალღონე და მასთან სახლში მისულ ავადმყოფ ქალბატონს გამოუწერა წამალი და პაციენტი იხსნა ტანჯვა-წამებისგან, თვითონ კი...

ტრიფონ გამსახურდია დაიბადა 1896 წლის 28 იანვარს (ძველი სტილით) სენაკის მაზრის სოფელ ნოსირში, პეტრე გამსახურდიასა და ფაშუ გაბუნიას ოჯახში. პეტრეც და ფაშუც ამავე მაზრის მკვიდრნი გახლდნენ.

ტრიფონ გამსახურდიას შვილის (ნათელა გამსახურდია) გადმოცემით, პეტრე გამსახურდია ყოფილა საოცრად მოხდენილი მამაკაცი – მაღალი ტანის, მუდამ ტანზე კარგად მორგებული ჩოხა-ახალუხით, იმდროისთვის კარგად განათლებული, ცნობილი თამადა და მომლხენი. გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით. იგი, თურმე, ხალხში სარგებლობდა

დიდი ავტორიტეტით. მშრომელი და უაღრესად პატიოსანი, მზად იყო დახმარებოდა ყველა გაჭირვებულს. პეტრეს პიროვნებას არასდროს სტოვებდა სიამაყის გრძნობა იმიტომ, რომ იყო გამსახურდიების საკმაოდ ცნობილი და წარმატებული გვარის წარმომადგენელი, გვარისა, რომელიც ტოლს არ უდებდა სამეგრელოს დიდებულებს. ისიც უთქვამს პეტრეს ახლობელთა წრეში, რომ მის, არცთუ შორეულ წინაპრებს, პრეტენზიაც კი ჰქონიათ სამეგრელოს სამთავროს ტახტზე.

ბატონ ტრიფონის დედა, ქალბატონი ფაშუ გაბუნია, მიუხედავად მრავალშვილიანობისა (ტრიფონის გარდა ოჯახში იზრდებოდნენ გრიშა, ცირუნია, ჯუდეუ, ვალოდია, ტურუ, ალექსანდრე, ....., ....., .....) ყოველთვის ახერხებდა ღირსეულად დახვედროდა ოჯახის სტუმრებს და მოელხინა მათთან ერთად, რაც არცთუ იშვიათად ხდებოდა. ცნობილია ისიც, რომ ქალბატონი ფაშუ ყოფილა საკმაოდ განათლებული და დახვეწილი გემოვნების ადამიანი. ისიც ვიცით (ახლო ნათესავების გადმოცემით), რომ ქალბატონ ფაშუს ზეპირად სცოდნია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ქალბატონმა ნათელა გამსახურდიამ დიდი სიამაყის გრძნობით ისიც გვითხრა, რომ მისი ერთ-ერთი ბიძაშვილი (ალექსანდრეს შვილი ლეილა) პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული



და იმავდროულად ძალიან კარგად უკრავდა და სასიამოვნო ხმით მღეროდა.

როგორც შესავალ ნაწილშიც აღვნიშნეთ, ტრიფონ გამსახურდიას და მის დედმამიშვილებს ბავშვობის პერიოდმა მოუწია პოლიტიკურად და სამხედრო ვითარებით აფორიაქებულ სამყაროში, როდესაც სერიოზულად გამოიკვეთა მსოფლიოს ახალი გადანაწილების დაწყების ნიშნები, როცა ირგვლივ ისმოდა იარაღის ჟღარუნის და რევოლუციური ამბოხებისკენ მოწოდებები.

ასეთ პირობებში ძნელი უნდა ყოფილიყო მრავალშვილიანი ოჯახის უზრუნველყოფა ყოველივე აუცილებელით, მაგრამ ბატონ პეტრესა და ქალბატონ ფაშუს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესაძლებლობების ფარგლებში, შვილებს შეუქმნეს ყველა საწყისი პირობა საიმისოდ, რათა ისინი გაზრდილიყვნენ გამსახურდიების გვარის ტრადიციების შესაბამისად.

ჩვენ კი, ამ პატარა ნიგნში მოკლედ მოგიყვებით მათი ერთ-ერთი ვაჟიშვილის, ბატონ ტრიფონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და, ნაწილობრივ, მისი ოჯახის ნევრების შესახებ.

ტრიფონ გამსახურდიას ბავშვობა ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ასეულობით სხვა ბავშვისგან, თუმცა თავად ტრიფონი გახლდათ სხვებისგან განსხვავებული, როგორც გარეგნობით, ისე საყოფაცხოვრებო ყოველ-

დღიური საკითხებისადმი მიდგომით.

ტრიფონი იყო მაღალი და გამხდარი; ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა და სათავისო ბავშვურ დასკვნებსაც აკეთებდა. იყო საოცრად ცქვიტი; ღიმილი არ შორდებოდა სახიდან, გაჩერებულს ვერ ნახავდით, სულ რაღაცას აკეთებდა. პატარაობიდანვე გამოამყლავნა სწავლისადმი ლტოლვა. აქტიურად იყო ჩაბმული საოჯახო საქმიანობაში და არც მეზობლებს აკლებდა ყურადღებას. უყვარდა სხვების დახმარება; ვერ იტანდა უსამართლობას და სიზარმაცეს.

სოფელ ნოსირში ხშირად უთქვამთ – ამ ბიჭისგან დიდი კაცი გამოვაო და აკი გამოვიდა კიდეც – დიდიც, დიდებულიც, საოცარიც და მისაბაძიც, რის შესახებაც ქვემოთ მოგიყვებით.

ერთხელ მაღლიან და ბარაქიან სუფრასთან ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოვჩნდით მე და ბატონი ტრიფონი. მხრებამდე ძლივს ვწვდებოდი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩემთვის. კარგად მოვილხინეთ. გაგონილი მქონდა და მაშინ კი დავრწმუნდი, რომ იგი სუფრასთანაც შეუდარებელი იყო. დახვეწილ სადღეგრძელოებს ამბობდა, იცინოდა, სახუმარო ეპიზოდებს იხსენებდა, ღიღინებდა და ამაღლებულ ატმოსფეროს ჰქმნიდა.

ყველა დიდი პატივისცემით იყო მისდამი განწყობილი, ყურადღებით ისმენდნენ მის ცხოვრებისეულ გა-

მოცდილებას და საყოფაცხოვრებო სიბრძნეს.

რომელიღაც მომენტში, უფრო სწორად კი მაშინ, როცა თამადამ პატარა ბავშვის სადღეგრძელო ბრძანა, ბატონმა ტრიფონმა რალაცნაირი მონყენილი და დაბალი ხმით ყურში ჩამჩურჩულა: „მენატრება ჩემი ბავშვობა“.

წინამდებარე წიგნზე მუშაობისას გამახსენდა ბატონ ტრიფონის ნაღველშეპარული სიტყვები და მინდა მკითხველს შევთავაზო ერთი სტროფი ჩემი ლექსიდან:

**„...ბავშვობა ხომ მაინც არის ბავშვობა,  
ვახერხებდი თამაშსაც და სიცილსაც,  
ვესწრაფოდი გაზრდასა და კაცობას,  
ვნატრულობდი – შემძლებოდა სიტყვის თქმა...“**


გაიზარდა კიდეც, კაცურკაცადაც (როგორც ქართველები ვიტყვით ხოლმე) მოგვევლინა და ნატვრაც აღისრულა – სიტყვა თქვა და მერე როგორი სიტყვა?!

მოვიყვან ი. აივაზიშვილის, ე. კაპანაძის და თ. ჩლაიძის მიერ ბატონ ტრიფონის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული წიგნიდან პატარა ამონარიდს.

## ჩემი მრწამსი

„უნდა იყო ბატონო და შემოქმედი მოქალაქე. უნდა: გიყვარდეს შენი ბრძოფისია, ყოველღლიურად სწავლობდე, ვითხულობდე ცოდნის ასამღრეებელ ლიტერატურას.

აუღმყოფებისთვის რხევა-ღარიგების მიცემისას სიწ-  
ცვიღად ნუ ხათელი სამეღციწო ლიტერატურის  
გაღახედვას. ნუ ახწარღები, თუ ვერ გაერკვიე, შეწზე  
მცოდნეს მიმართე. არ დაიფიწყო წინაბართა ღარიგება  
– „ასწერ გზომე, ერთხელ გაწერი“. ყოველღლიურად  
იზრტუნე იმასე, რომ შეწი ცოდნა-გამოცღიღება გა-



ღასცე სხვას, ტუბირატესად ვი მერ-  
მუშავებს. გასხოედეს, რომ მერდმუ-  
შავის მიერ მიღებულღი ცოდნა და  
გამოცღიღება ატციღებელია  
აღამიანების ჯანმრთეღობის  
ტუნრტუნვეღსაყოფად.

შეწი მოვარეღ-  
ბაა – ემსახურო  
ხატს.

გთყვარდეს აყადმყოფი, წყაღი დაიშურებ მისთვის ცოდ-  
ნას და გვართანად გარჯას. პირადი საქმე ვადადე და  
მას დაეხმარე. სამკურნალო საშუალებებზე ჟარის თქმა  
ბოროტებად მიიხსიე.

იყავი თაყმთყვარე და ჟანგარო. აყადმყოფისთვის დახ-  
მარებისათვის გასამრჯელოს აღება ხათვარე დამამცირე-  
ბლად და დახამაჟლად.

არაყინ მოატყუო; ბოროტებას სიკეთით ჟდასუხე. წყაღი  
გაარხეყ აღმინებს მეგობრობით, წათესაობით, თანამდე-  
ბობით. პირველად იმას დაეხმარე, ვისაც ყველაზე მეტად  
სჭირდება დახმარება, მიუხედავად იმისა თუ როგორი  
დამოკიდებულეობა აქვს შენთან.

გახსოვდეს, რომ შენს მოქმედება-მოღვაწეობაზე იზ-  
რდება მთელი თაობები.

ხედი ცხოვრების მთავარი მიზანი იყო – შემუშავა ამ  
მრწამლის მოწოდებით. თუ რამდენად და როგორ შეე-  
ძელი, ეს, დაე, ხალხმა განსაჯოს“.

ტრიფონ ბეჭტვის ძე გამსახურდია

ტრიფონ გამსახურდიამ დან-  
ყებითი განათლება მიიღო ძვე-  
ლი სენაკის ქართულ ოთხკლასიან  
სკოლაში. რალათემაუნდა მშობლები  
ვერ დაკმაყოფილებოდნენ ცოდნა-  
განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის  
გავლით და ჭაბუკი ტრიფონი  
განათლების შემდგომი ეტაპის



გიმნაზიის მსმენელი.

გასავლელად შეიყვანეს ქ. ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც სწავლას მონყურებულ ახალგაზრდას დახვდა ქართველ-განმანათლებელთა მთელი პლეადა, რომელთა გარჯამ დიდი როლი ითამაშა მის იდეოლოგიურად მაღალი დონის ადამიანისა და დახვეწილი პროფესიონალის სამომავლო ჩამოყალიბების საქმეში.

აღნიშნული გიმნაზიის სრული კურსი ტრიფონ გამსახურდიამ დაამთავრა 1912 წელს.

16 წლის წარჩინებული ახალგაზრდა სამუშაოდ განამწესეს აზერბაიჯანის დედაქალაქში (ბაქო) ვინმე ვაქტუშინსკის აფთიაქში. სამი წელი იმუშავა აღნიშნულ აფთიაქში და, რომ იტყვიან, მიიღო შრომითი ნათლობა. თუმცა, სწავლას მონყურებული ტრიფონ გამსახურდია არ დაკმაყოფილებულა მიღწეულით და განათლების მიღება განაგრძო ქ. ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალურ კურსებზე, რის დამთავრების შემდე-

გაც მისაღები სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა უნივერსიტეტში. უკვე, უმაღლესი განათლების დიპლომით (მეაფთიაქის თანაშემწე) დაბრუნდა ბაქოში და „თავის“ აფთიაქში დაიწყო მუშაობა რეცეპტარად. იდგა 1915 წელი. ბაქოში რევოლუციის სუნი ტრიალებდა.

აღსანიშნავია, რომ ვატუშინსკის აფთიაქში გაიცნო და დაუახლოვდა იქვე მომუშავე ქართველ გოგონას, ელენე ილარიონის ასულ ადამიძეს, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება.

## შრომით ასპარეზზე

მაშ ასე: განათლება მიღებულია; პირველადი შრომითი (პრაქტიკული, ქ. ბაქო) გამოცდილების ეტაპი გადალახულია; ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი შერჩეულია და იწყება ტრიფონ გამსახურდიას „ჩემი მრწამსის“ აღსრულების პროცესი. პროცესი კი დაიწყო ქ. ფოთში, სადაც ტრიფონ გამსახურდია დასახლდა 1917 წლის სექტემბერში და მუშაობა დაიწყო ალექსანდრე მდივნიის კერძო აფთიაქში რეცეპტარად.

ერთი წელიც არ იყო გასული ფოთში მისი მოღვაწეობის დაწყებიდან და როგორც ქალაქის ელიტარულ წრეებში, ისე რიგით მოსახლეობაში ალაპარაკდნენ

ტრიფონ გამსახურდიას მაღალკვალიფიციურობასა და რაც ხაზგასასმელია – ჰუმანურობასა და უანგარობაზე.

მოგეხსენებათ, 1920-იან წლების საქართველოს აფთიაქებში მზა წამლების და დამხმარე მასალების საკმაოდ მცირე დასახელების ასორტიმენტი გააჩნდათ (სტრეპტოციდი, ქინაქინა, ე.წ. „მიკსტურა“, იოდი, ბამბა, თერმომეტრი, სპირტი და კიდევ რამდენიმე), ამიტომ პაციენტის დროული და ეფექტური განკურნების პროცესი, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებული იყო რეცეპტარის ცოდნასა და უნარზე, სწრაფად შეერჩია და დაემზადებინა აუცილებელი მედიკამენტი. ამ საქმეში კი ბატონმა ტრიფონ გამსახურდიამ, გამოამჟღავნა მრავალმხრივი შემოქმედებისა და ნოვაციის საოცარი უნარი. მაშინვე ჰქონდა შემუშავებული რამდენიმე საკუთარი, მანამდე უცნობი და ორიგინალური რეცეპტი, რომელთა რაოდენობა წლების განმავლობაში სულ უფრო მატულობდა და მატულობდა, სანამ ათეული წლების განმავლობაში, არ ჩამოყალიბდა სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალო რეცეპტურად (კრებულად), რომელიც „მოიწონა საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს ფარმაცევტთა საზოგადოებამ და ფართოდ დანერგა იგი“ (ი. აივაზიშვილი, გ. ალავერდაშვილი). აღნიშნულ კრებულს დღესაც იყენებენ სააფთიაქო სისტემაში.

ტრიფონ გამსახურდიას ნოვატორული და მეცნიერების საფუძველზე შექმნილი სამკურნალო საშუა-



ლებები მართლაც რომ მისწრება იყო მრავალრიცხვოვანი პაციენტებისათვის, რადგან ჰორიზონტზე ჯერ არ ჩანდა „ცილინები“, „მიცინები“, „კორდინები“, „ოზოლები“ და ა.შ.

ქ. ფოთში ტრიფონ გამსახურდიას დახმარება აღმოუჩენია უცხოელი მეზღვაურებისთვისაც, რომლებიც გაოცებულნი, თურმე, ხელებს შლიდნენ – „ეს რა ჯადოქარი კაცი გყოლიათო“.

ერთი წელი იმუშავა ბატონმა ტრიფონმა ქ. ფოთში და სამუდამოდ დაამახსოვრა თავი მოქალაქეებს, რომლებიც შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ არ ექოთ მართლაც საოცარი მკურნალი და მაღალი ჭედვის პიროვნება – გამორჩეული პატიოსნებით, სიკეთით, უანგარობით და მუხლმოუხრელი გარჯით.

ძნელი იყო ფოთელებისთვის ტრიფონ გამსახურდიასთან განშორება. თვალებზე ცრემლმომდგარნი, ხელის ქნევით ემშვიდობებოდნენ მას, როცა იგი 1918 წელს სამუშაოდ გადაიყვანეს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში და დანიშნეს აფთიაქის გამგედ.

როგორც იტყვიან, ამ შემთხვევაშიც, მთელი გულითა და სულით ემსახურა თავის საყვარელ ხალხს მისთვის დამახასიათებელი მონდომებით, პატიოსნებით და მიმზიდველი კომუნიკაბელურობით. დიდსა თუ პატარას, ჩინოსანს თუ უჩინოს – ყველას პირზე ეკერა მისი სახელი და მისი კაცობა.

ასეულობით ადამიანს მისცა შვება, ბევრი მოაბრუნა სიცოცხლისაკენ, ბევრს დაუმეგობრდა და სულ რაღაც რამდენიმე წელში შეიძინა თაყვანისმცემელთა მთელი არმია.

დრომ ნაკადულივით ჩაირბინა. საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ტრიფონ გამსახურდია სამუშაოდ გადაყავთ და სამუდამოდ მკვიდრდება ქალაქ გორში.

1924 წლიდან დაიწყო ტრიფონ გამსახურდიას და მისი ოჯახისათვის შემდგომი ცხოვრების ყველაზე უფრო ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის ეტაპი.

შთაბეჭდავია სამუშაო ადგილებისა და თანამდებობების ჩამონათვალი: გორის, ე.წ. ძველი აფთიაქის რეცეპტარი, კასპის რაიონის სოფ. წითელქალაქის აფთიაქის გამგე, პროფკავშირის სამაზრო გამგეობის თავმ-



ქ. გორის ე.წ. ძველი აფთიაქი

ჯდომარე, საოლქო გამგეობის თავმჯდომარე, რაიონული პროფსაბჭოს გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, გორის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე, გორის რაიონის სოფ. ტყვიავის აფთიაქის გამგე, ქ. გორის პირველ აფთიაქში რეცეპტარ-კონტროლიორი და ა.შ. აღნიშნულ აფთიაქში იმუშავა ბატონმა ტრიფონ გამსახურდიამ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე და მისთვის ჩვეული ერთგულებით ემსახურა მშობლიურ ხალხს.

ბატონი ტრიფონი, პროფესიული საქმიანობის გარდა, ეწეოდა საკმაოდ ფართო მასშტაბის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი ინიციატივით, მისივე ხელმძღვანელობით და პრაქტიკული გარჯით არჩეულ იქნა ქ. გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ასევე გორის რაიონული საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად.

გორის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ მუშაობის პერიოდში, ბატონი ტრიფონის თაოსნობით და უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო და აქტიურად ამუშავდა ქალაქის ტუბდისპანსერი, რომელიც აღიჭურვა, იმდროისთვის საუკეთესო, რენტგენის, ფიზიოთერაპიის კაბინეტებით და ბიოქიმიის ლაბორატორიით.

ამონარიდი ივანე აივაზიშვილისა და გიორგი ალავერდაშვილის წიგნიდან „გორელები“ (თბ. „მერანი-3“. 1999 წ).

„ქ. გორის საავადმყოფოში საგრძნობლად გაიზარდა სანოლების რაოდენობა, მუშაობის უკეთესი პირობები შეექმნათ მოზარდთა პოლიკლინიკას, ქალთა და ბავშვთა საკონსულტაციო და სამალარიო სადგურებს; გორის რაიონის მრავალ სოფელში აშენდა საექიმო პუნქტი, საბავშვო ბაგა, სარძევე, სამზარეულო და სხვა ობიექტები.

ტრიფონ გამსახურდია მცდელობას არ აკლებდა, რათა მიეზიდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მისი ხელმძღვანელობით ქ. გორის სამედიცინო სამსახური იმდენად მაღალ დონეზე იდგა, რომ ხშირად აქ სხვა რაიონებიდანაც მოჰყავდათ ავადმყოფები სამკურნალოდ. მართალია, თვითონ ტრიფონ გამსახურდია თითქმის მუდამ აფთიაქში მუშაობდა, მაგრამ ექიმ-სპეციალისტების სიმცირის გამო, სამედიცინო დახმარებასაც უწევდა აფთიაქში მედიკამენტებისათვის მისულ ადამიანებს და სრულიად უანგაროდ. უფრო მეტიც – პაციენტებს ასწავლიდა ამათუიმ მედიკამენტის მიღების წესს და რეჟიმს, ეფერებოდა და ღიმილით აცილებდა.

ბევრი ახალგაზრდა ფარმაცევტი აღზარდა ტრიფონ გამსახურდიამ. წამალმცოდნეობასთან ერთად, იგი თავის შეგირდებს ღრმად უწერგავდა პათიოსნებას, შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, პატრიოტიზმს.

კეთილო კაცო, ნუ იტყვი ტყუილს,  
დაგძალავს თუ ის, ცუდი ვით ვთვალთ?!  
სიცრუის კალო ბუზივით ბზუის,  
გახრწნილს და უღირსს ჩაგაცვამს ჯვალოს.

დანვი სიცრუის ფარაჯა რუხი,  
ნება გაქვს, თუ კი – არასდროს შერცხვე,  
სიმართლის მეხრედ გამართე მუხლი...  
ფესვების წუხილს ააცდენს შენს ხეს.

ტრიფონ გამსახურდიასათვის სამოქმედო კრედო გახლდათ დიდი ილია ჭავჭავაძის შეგონება – „...კაცად მაშინ ხარ ქებული, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო – აბა, დღეს მე ვის რა ვარგე...“

მის მოწაფეებსა და ნამოწაფრებს მტკიცედ სწამდათ სახელოვანი ამაგდარის სიტყვისაც და საქმისაც და ყოველმხრივ ცდილობდნენ პატიოსნად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა“.

დღესაც, მისი გარდაცვალებიდან ოცდოთხი წლის შემდეგაც, ტრიფონ გამსახურდიას კოლეგები და აღზრდილები დიდი პატივისცემითა და სიყვარულით საუბრობენ მის მაღალ პროფესიონალიზმზე, სულიერ სიმდიდრეზე.


ტრიფონ გამსახურდიას შრომითი მოღვაწეობა ჯეროვნად დააფასა ხელისუფლებამ და ხალხმა. მას მიღე-

ბული აქვს მრავალი სამთავრობო ჯილდო, ორდენი თუ მედალი, საპატიო სიგელები, დიპლომები და პრემიები.

კასპის რაიონის სოფელ წითელქალაქში მოღვაწეობის დროს ბატონი ტრიფონი დიდ ყურადღებას უთმობდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. მისი ინიციატივით გამოიყო შენობა და მოენყო კლუბი. ჩამოყალიბდა დასი, იდგმებოდა თეატრალური წარმოდგენები, ეწყობოდა კონცერტები. თავად ბატონი ტრიფონი გახლდათ სცენის მოყვარული. მისივე ინიციატივით ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა გუნდიც, სადაც თამაშობდა ცენტრალურ მცველად – სიმაღლე არ ეყოფოდა თუ?! (ი. აივაზიშვილი, ე. კაპანაძე, თ. ჩლაიძე. „ტრიფონ გამსახურდია“ 90 წელი. თბილისი, 1998 წ.)

ტრიფონ გამსახურდიას შრომა ჯეროვნად დააფასა საქართველოს მთავრობამ. იგი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, საიუბილეო მედლით და, ასევე: შრომის ვეტერანის, საკავშიროს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საკავშირო მედმუშაკთა პროფკავშირის „დამკვრელის“, „ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსნის“ სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

ტრიფონ გამსახურდიას უამრავ შეხვედრას უმართავდნენ სასწავლებლებში, პიონერთა სასახლეში, მუზეუმებში და სხვა დანესებულებებში. მისი მოღვაწეობის შესახებ ხშირად ქვეყნდებოდა წერილები, როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ გაზეთებში.



სამნუხაროდ, ყოვლადგაუგებარი მიზეზების გამო, ბატონ ტრიფონ გამსახურდია 1937 წლების რეპრესიების დროს დაპატიმრებულ იქნა და სასჯელმისჯილი.

საბედნიეროდ, მალე გაირკვა მისი უდანაშაულობა და იგი განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან.

ბატონი ტრიფონ გამსახურდია გახლადათ სოფელ ტყვიავისა და ქ. გორის საპატიო მოქალაქე. მადლიერმა ხალხმა ზემით აღნიშნა მისი ოქროსა და ბრილიანტის ქორწილების ისტორიული თარიღები.

არანაკლებ ემოციური, საზეიმო და მასშტაბური გახლდათ ტრიფონ გამსახურდიას დაბადებიდან 80 და 90 წლის იუბილეების და შრომითი მოღვაწეობის 60 და 70 წლიანი თარიღების აღნიშვნის ცერემონიალები.



ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ საზეიმო ღონისძიებებს ესწრებოდა უამრავი ხალხი, როგორც გორიდან, ისე სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. სტუმრებს შორის ბევრი იყო როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ისე, განსაკუთრებით, სამედიცინო დარგის თვალსაჩინო მოღვაწე, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ იუბილარის დიდ ღვაწლს განეულს ხალხის საკეთილდღეოდ.

საზეიმო გამოსვლებისას ყველა ხაზს უსვამდა ბატონ ტრიფონის უანგარო და თავდადებულ შრომას და მის საოცრად თბილ და მზრუნველ დამოკიდებულებას მრავალრიცხოვან მადლიერ პაციენტთა დიდ არმიასთან.

გორში მდებარე სახლს (სტალინის გამზ. 24), სადაც ბოლო, თითქმის 35 წელი იცხოვრა ტრიფონ გამსახურდიამ, ამშვენებს მემორიალური დაფა.



ტრიფონ გამსახურდიას მემორიალური დაფის გახსნის ცერემონია.



## თბილი კერა

„ოჯახი უნდა იყოს სახლი  
სათნოებისა და სახლი სიყვარულისა“  
(ღირსი იოსებ ოპტინელი)

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბატონი ტრიფონ გამსახურდია თავისი ცხოვრების განუყრელ მეგობარს ქალბატონ ელენე ადამიძეს შეხვდა ქ. ბაქოში ვიტუშინსკის კერძო აფთიაქში, სადაც ისინი ერთად მუშაობდნენ.

ელენე ილარიონის ასული ადამიძე დაიბადა 1895 წელს ქ. თბილისში, თამბაქოს ფაბრიკის მეპატრონის ოჯახში. ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (ფარმაცევტული ფაკულტეტი), მუშაობას იწყებს ზემოაღნიშნულ აფთიაქში, სადაც შეხვდა თავის ბრწყინვალე მომავალს ტრიფონ გამსახურდიას სახით.

თითქოს ერთმანეთისთვის იყვნენ დაბადებულიო. ტყუილად კი არ უთქვამთ – „ფერი ფერსაო და მადლი ღმერთსაო“. მალე ჯვარი დაიწერეს და ურთიერთსიყვარულით დაიწყეს ტრადიციული ქართული ოჯახის შენება.



ელენეს ძმა ივანე ადამიძე

ელენე ადამიძის სულიერი თუ გარეგნული სილამაზის შესახებ ბევრს ლაპარაკობდნენ და წერდნენ კიდეც. ბევრი მას ადარებდა ძველ ბერძენთა მითიურ ქალს, რომლის გამოც არაერთი სისხლისმღვრელი ომი გაჩაღებულა და რომელიც საყოველთაოდ იყო ცნობილი თავისი სილამაზით.

კარგად და სამართლიანად ბრძანებს ი. აივაზიშვილი („გორელები“. თბ. „მერანი-3“. 1999).

„...რალა ძველ ბერძენთა მითიურ ელენეს ვუძღვნათ დითირამბები, როცა ჩვენ, გორელებს, აგერ გვერდით გვყავს ნამდვილი მშვენიერი ელენე, ჭემმარიტი ქართველი ქალი, აღსავსე ყოველმხრივი მომხიბვლელით – სახიერებითაც, საქმიანობითაც და მთელი მისი შინაარსიანი ცხოვრებითაც“.

ბატონი ტრიფონისა და ქალბატონ ელენეს ახლადშექმნილი ოჯახი 1924 წლიდან მტკიცედ დამკვიდრდა ქალაქ გორში და თავისი საკუთარი შვილების მომავალი ცხოვრება სრულად დაუკავშირეს ამ ისტორიული ქალაქის მომავალს.

ძველთაძველი ქართული ქალაქი გორი დიდად არის დავალებული ბატონ ტრიფონისა და მისი უმშვენიერესი და ღირსეული მეუღლის ქალბატონ ელენესაგან.

სიამაყეს გმატებს და სიამოვნებას განიჭებს, როცა ერთხელ კიდევ გადახედავ ბატონ ტრიფონისა და ქალბატონ ელენეს ნამოღვანარს. მათმა სასწაულმოქმედმა

ნამლებმა, ალერსიანმა ურთიერთობებმა, უანგარობამ, ნუგეშმა თუ გამხნეებამ, ვინ მოთვლის რამდენი გაჭირვებულ-დაუძლურებული გამოჰგლიჯა სიკვდილის მარწუხებს, რამდენს გაუადვილა ცხოვრება და გაუხანგრძლივა სიცოცხლე!

მადლიერი მოსახლეობა არასდროს დაივინყებს მათ თავდადებას და გაჭირვებულების მხარში დგომის უპრეცედენტო შემთხვევებს.

ამ უკეთილშობილესი ადამიანების ხსოვნა უკვე უკვდავყოფილია და ოქროს ასოებით არის ჩანერილი ქ. გორის (და არამარტო გორის) უნიკალურ ისტორიაში.

უდავო ქეშმარიტება გახლავთ ის, რომ მყუდრო და სასიამოვნო გარემოში, სადაც სუფევს ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისაკენ დაუოკებელი ლტოლვის ატმოსფერო – ადამიანები ლალად და ამალლებულად გრძნობენ თავს და ყოველგვარი სიძნელის გადალახვაც უფრო ადვილად ხერხდება.

სწორედ ასეთი მიმზიდველი ატმოსფერო შექმნეს ბატონმა ტრიფონ გამსახურდიამ და ქალბატონმა ელენე ადამიძემ ქ. გორში (სტალინის გამზირი, №24; მე-7 სადარბაზო, მე-3 სართული), სადაც დიდი რუდუნებითა და სათნოებით იზრდებოდა მათი ოთხი შვილი, ერთიმეორეზე უკეთესი და უმშვენიერესი ქალიშვილი (ეთერი, ნათელა, ლიზიკო, მერი).

აქვე აღვნიშნავ, რომ, როგორც იტყვიან – „კვიცი გვარზე ხტისო“ – სამი მათგანი – ეთერი, ნათელა და ელზა (იგივე ლიზიკო) გაჰყვა მშობლების გზას და მთელი სიცოცხლე უშურველად მოახმარეს ადამიანების ჯანმრთელობის კეთილშობილურ საქმეს. რაც შეეხება ქალბატონ მერის, მან განათლების სისტემაში დაიმკვიდრა თავისი ადგილი.

ტრიფონ გამსახურდიას ხშირად უთქვამს თავისი ქალიშვილებისათვის – „გახსოვდეთ, ვისი გორისა ხართ“. ქალიშვილებმა ეს შეგონება არათუ დაიმახსოვრეს, არამედ ღრმად გაითავისეს და არასდროს დავიწყებიათ. ამის დასტურად მრავალი მაგალითი არსებობს.

ნათელა ტრიფონის ასული გამსახურდია ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ექიმ-კარდიოლოგად. მას ყველა იცნობდა და პატივს სცემდა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს და როგორც უაღრესად დახვეწილი ადამიანური ღირსებების მატარებელ პიროვნებას.

მომსმენი, გამგები, კეთილი სურვილებისა და რჩევების უშრეტი წყარო, მუდამ ენერგიული და სათნო ბუნების. ეს მხოლოდ უმნიშვნელო ეპითეტებია ქალბატონ ნათელას სრულად დახასიათებისათვის.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც გაჭირვებულ პაციენტს არ ჰქონია საჭირო რაოდენობის ფული და ქალბატონი ნათელა თავისი პირადი სახსრებიდან დახმარებია მას. იმასაც ამბობენ, ყოველივე ამას ისე ოსტატურად

აკეთებდა, რომ არც ავადმყოფი რჩებოდა შეურაცხყოფილი და მის ჯანმრთელობასაც იცავდა და თავმოყვარეობასაც.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო ხალხური ფილოსოფიური გამოთქმა – „კვიცი გვარზე ხტისო“. ან სხვაგვარად როგორ მოიქცეოდა ბატონი ტრიფონისა და ქალბატონ ელენეს მიერ გაზრდილი შვილი?!


წლები გარბის, მაგრამ არასდროს მიეცემა დავიწყებას ნათელა გამსახურდიას უდიდესი ღვაწლი და ამაგი, რაც მან გულუხვად გაიღო ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე.



სულ ახლახანს, ქალბატონ ნათელა ტრიფონის ასულ გამსახურდიას მიენიჭა ქ. გორის საპატიო მოქალაქის მაღალი წოდება, რაც უდაოდ მკაფიო დაფასებაა მისი წარმატებული შრომითი მოღვაწეობისა და უხვად გაცემული სიტბოსი და სიკეთისა.



ქალბატონ ნათელა გამსახურდიას, სხვა ჯილდოებთან ერთად, 1987 წელს მიღებული აქვს ასევე „ხალხთა მეგობრობის ორდენი“.

სტალინის 24-ში, მე-7 სადარბაზოს მე-3 სართული, როგორც მეზობლები-სათვის, ისე თანამოქალაქეებისათვის, დღესაც წარმოადგენს – განათლებულობის, პატიოსნების, ერთგულების, პროფესიონალიზმისა და კეთილშობილების ოაზისს.





















პეტრე გამსახურდიას და ფაშუ გაბუნias 14 შვილიდან, სამნუხაროდ, რამდენიმე ადრეულ ასაკში გარდაიცვალა (ზრდასრულ ასაკს მიაღწია ათმა).

საკმაოდ გახმაურებული ამბავი იყო... ერთხელ, პეტრეს სკოლიდან ბავშვები ნავით მოყავდა... მდინარე ტეხურა მოულოდნელად ადიდდა. პეტრემ მეზობლის ჩაბარებული შვილები გადაარჩინა, ხოლო საკუთარი ორი შვილი დაეხრჩო...

ტრიფონს ჰყავდა ძმა გრიგოლ (გრიშა) გამსახურდია, რომელიც იყო განათლებით მათემატიკოსი. თავიდან მასწავლებლად მუშაობდა სკოლაში, შემდეგ ბიძაშვილთან, რაჟდენ გამსახურდიასთან ერთად, პურის ქარხანაში. გრიშა და მისი უნიჭიერესი და ულამაზესი მეუღლე ელენე კაჭკაჭიშვილი ცხოვრობდნენ თბილისში. მათ შეეძინათ ორი ვაჟი – თამაზი, ალექსანდრე და ქალიშვილი – გულიკო.

სამნუხაროდ, გრიგოლ გამსახურდია გასული საუკუნის 90-იან წლებში, განუკითხაობის დროს, ქუჩაში ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა...

თამაზი განათლებული და ვაჟკაცური ბუნების ადამიანი იყო, პროფესიით ისტორიკოსი. მთელი ცხოვრება განათლების სფეროში მუშაობდა. ბოლოს სკოლის დირექტორი იყო დიდ დილომში. სკოლის ეზოში მან მცირე სამლოცველო ააშენა. იგი სულ ახალაგზრდა, 49

ნლის ასაკში გარდაიცვალა. ჰყავს მეუღლე – ციალა ხუხუნაიშვილი, ქალ-ვაჟი – ქეთევანი და გიორგი და ორი შვილიშვილი.

ალექსანდრე კავშირგაბმულობის სისტემაში საუკეთესო სპეციალისტად ითვლება. დაქორწინებულია მარინა ჩხარტიშვილზე. მათაც ქალ-ვაჟი და ორი შვილიშვილი ჰყავთ.

გრიმას ქალიშვილი – გულიკო გამსახურდია მუსიკოსია. დაქორწინებული იყო საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულ გერმანელ კაცზე – დოქტორ ეკკეჰარდ კლემენსზე, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული როგორც საქართველოსთვის, ისე ქართველებისთვის...

გულიკო მუშაობდა ბატონ გურამ რამიშვილის დაარსებულ გერმანულ სკოლაში... საბალეტო სტუდიაში... უკრავდა ვახტანგ ჭაბუკიანთან... გოგი ალექსიძესთან. მას ჰყავს ქალიშვილი და ორი შვილიშვილი.

გამსახურდიების გვარის შვილები გამოირჩეოდნენ ფანსაკუთრებული სათნოობით, ნიჭიერებით, მოკრძალებით და ღვთისმოშიშებით... თითოეული მათგანი უპირველეს ადგილს სამშობლოს და მოყვასს უთმობდა, როგორც ჭემმარიტ ქრისტეანს შეშვენის.

## ვინ, რა, როდის...

„...და ადგა კაცი, თავმდაბალი, სულით მაღალი, მუდამ ღიმილით რომ დადის გორის ქუჩებში და ყველას თავდახრით ესალმება. ადგა ტრიფონ გამსახურდია და უთხრა გორელებს: გიყვარდეთ ადამიანები, გიყვარდეთ ოჯახი. ოჯახი ქვეყნის ბურჯია, ოჯახი სახელმწიფოს დედაბოძია...“

**ლალი ჭანკოტაძე**  
(ოქროს ქორწილის საღამოზე)

„...აქვს უტყუარი ალლო გაუგოს გაჭირვებულს, მინიჭოს ადამიანს სიხარული; უმაღლ მოიშველიოს სანუგეშო სიტყვა და გაამხნეოს. უანგაროა...“

**გაზეთი „კომუნისტი“**  
**2.XI.1984**

„...აფთიაქში საჭირო წამალი რომ არ ყოფილიყო, იგი მაინც რალაცას მოიმოქმედებდა, სხვა აფთიაქში დარეკავდა ან სხვა რაიმე გამოსავალს მოძებნიდა და ავადმყოფს უკმაყოფილოს არ დატოვებდა. მისთვის არ არსებობდა (სხვებისთვის ადვილად სათქმელი) სი-

ტყვები – „არა“, „არ გვაქვს“. უყვარდა ადამიანები. პატივს სცემდა მედიკოსის მაღალ დანიშნულებას...

**ლერი ხონაშვილი**

„...ახალგაზრდული ენერგიით, თეთრ ხალათში გამონყობილი ტრიფონ გამსახურდია ერთგულად დგას ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე; დგას, როგორც პატიოსნებისა და სინმინდის განსახიერება. დიდხანს გვიყოლიოს ღმერთმა ძია ტრიფონი...“

**ვ. გენგიური**  
**„სოფლის ცხოვრება“**

„...ტრიფონ გამსახურდია იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტი, დახვეწილი მომხიბლავი სიტყვა-პასუხით, დაჯილდოებული მსუბუქი იუმორით. მის სიახლოვეს მუდამ რიდი და მოკრძალება სუფევდა...“

**ე. შინჯიკაშვილი**  
**რ. ჩომახაშვილი**  
**გაზეთი „ფარმაცევტული მაცნე“**

„...ამ ადამიანის ცხოვრება ხომ მაღალი ჰუმანურობის, ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობის, უანგარო ღვაწლის საუკეთესო მაგალითია...“

**დ. ქარელი**

„...ეკონომიურად არ ყოფილა მდიდარი.

სულით იყო მდიდარი. ეს კი დიდი ბედნიერებაა ადამიანისათვის. სხვა რა უნდა ინატროს ქეშმარიტმა ქართველმა!

არც უნატრია!

უყვარდა სტრიქონები: „მე სიმდიდრედ ქართველობაც მეყოფა, სალოცავად სამეგრელოს ზეცა“.

**შერგილ სუხიტაშვილი**  
**„გორის მოამბე“, №4, 1994 წ.**

„...სადღეგრძელოს თუ ამბობდნენ, ან ამბობენ – კაი კაცს გაუმარჯოსო, აუცილებლად მიაყოლებენ – ძია ტრიფონის თამალობითო. „ასეთ კაცს ძეგლი უნდა დავუდგათო“ – თქვენზე იტყვიან ხოლმე. თქვენი ძეგლი დიდი ხანია დგას გორელების გულში. თქვენ თავად დაუდგით თქვენს თავს ძეგლი...“

**ალ. ტაბატაძე**  
**გაზეთი „შთაგონება“**

„...მას რომ ვახსენებ, მძლვა სტრიქონი, მისი სახელი ჟამს აქ უნთია...“

**ვაჟა შიუკაშვილი**  
**„გორის მოამბე“, 2000 წ. 2.VI**

„...ტრიფონ გამსახურდიას ქონება, სიხარული და სიცოცხლე ისაა, ხალხი რომ აფასებს, პატივს სცემს და უყვართ, უყვართ მართალი, კეთილი, გულისხმიერი ადამიანი...“

**ჯ. ინჯია, ზ. ნაქაძე**  
**გაზეთი „გორი“**

„...მაშ, რისთვის ეძახიან „გაჭირვების ტალკვეს“? მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს თავზე ევლება, სასწრაფოდ უმზადებს საჭირო წამალს, თანაც ავადმყოფის პატრონს ისეთ სიტყვებს ეტყვის, რომ სანამ წამალს მიიღებენ, უკვე მშვიდდებიან“...

**გ. სტეფანოვი**

„...გამსახურდია მე ყველა მიყვარს,  
ძია ტრიფონის მხრიდან,  
გამსახურდია თუკი ვინმეა  
ტრიფონს რომ ჰგავდეს მინდა...“

**ლამარა დურგლიშვილი**  
**1985 წ.**

„...ადამიანთა სიცოცხლეზე მუდმივი ზრუნვით, განურჩევლად ყველას მსახურებით, ახალგაზრდობის აღზრდის უზადო ოსტატობით, მოხდენილი იუმორით – პირადი მაგალითი ხართ ჩემთვის, ჩემი ოჯახისათვის



და, საერთოდ, ყველასთვის. მუდამ ჩვენი თანატოლი, ჩვენი საყვარელი მეგობარი იქნებით...”

**გ. ხარხელი**

„...ყველას უყვარხარ, ყველას სჭირდები,  
ყველა ლოცულობს და შენზე ფიქრობს;  
დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა,  
მრავალჟამიერ ჩვენს ძია ტრიფონს...”

**ოთარ ქუთათელაძე**

„...ცეცხლი უელავს ახალგაზრდული,  
წლები კი მიჰქრის ჭენებ-ჭენებით.  
და ხარობს თვალი და ხარობს გული  
გადარჩენილი მისი ხელებით.  
სხვებზე ზრუნვაში გულს გაიკეთებს,  
შუბლს ეხატება აზრი ცხოველი...  
თვალისჩინივით უვლის სიკეთეს,  
თვალისჩინივით უყვარს ყოველი...”

**ელ. კილაძე**

„...ჩვენ, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელნი ძალიან ბევრ კარგ და საჭირო ჩვევებს ვსწავლობთ თქვენგან. თქვენ ხართ ჩვენი წინამძღვარი, ცოცხალი მატთანე; მთელი ისტორიაა თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა...”

**ზ. ი. ერაძე**

„...მთის წყაროსავით სუფთა და გამჭვირვალეა მთელი თქვენი ცხოვრება; ალალი და უანგაროა ხალხისადმი განუული ამაგი – ამიტომ შეგიყვარათ, ბატონო ტრიფონ, ჩვენმა ხალხმა...“

## ნ. გეგელია

„...1843 წელს მ. სარაჯიშვილს უთარგმნია არაბული კარაბადინი (კართა კრებული). წიგნის არშიაზე მიუწერია – ასო-ბგერა „უ“-ზე მითითებულია სიტყვა „უსინდისობა“, მაგრამ კარაბადინში არ აღმოჩნდა ამ ავადმყოფობის წამალიო.

მე ვიცი ამის წამალი:

ბატონი ტრიფონ გამსახურდია!

## ბეგლარ ნოზაძე

„...თქვენ ბრძანდებით სანიმუშო მაგალითი პატიოსანი, კეთილშობილი, უანგარო კაცისა, რომელიც ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ გაჭირვებაში მყოფი ადამიანი ანუგეშოს, იმედი მისცეს და დროულად უმკურნალოს...“

## თ. თაყაიშვილი

„ბატონო ტრიფონ, გულითადად მოგესალმებით ამ მეტად მნიშვნელოვან დღეს, ჩვენს სახელოვან ადამიანს, რომელმაც თავის უმნიკვლო,

ყოველმხრივ სამაგალითო შემოქმედებითი მოღვაწეობით ყველაფერი გააკეთეთ ჩვენი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გასაუმჯობესებლად, რითაც დიდი ავტორიტეტი და ხალხის დამსახურებული სიყვარული მოიპოვეთ. იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ თქვენი ბრწყინვალე ოჯახით. გეხვევით, გკოცნით მუდმივი უღრმესი პატივისცემით“.

### **პროფესორი ლუბა შენრული**

„გულითადად გილოცავთ სახელოვან იუბილეს. თქვენს მიერ უმნიკვლოდ განვლილი გზა ნათელი მაგალითია სასიქადულო ერისშვილობისა და დიდიკაცობაა. თქვენი მუდამ იამაყებს თქვენი შთამომავლობა. იცოცხლეთ დიდხანს, მხნედ და ჯანმრთელად“.

### **პროფესორი დავით ტვილდიანი**

„ჩვენო საყვარელო ძია ტრიფონ, გილოცავთ დიდ მნიშვნელოვან თარიღს, გისურვებთ ასევე მხნედ და ვაჟკაცურად იცოცხლოთ დიდხანს თქვენი მადლიერი პაციენტებისა და ნათესავების საკეთილდღეოდ. იცოცხლეთ დიდხანს, მხნედ და ჯანმრთელად“.

**ლიდა ნულუკიძე**

„გილოცავთ დაბადების 90 და ფარმაციის დარგში მოღვაწეობის 70 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ერის ჯანმრთელობის სადარაჯოზე“.

### **თქვენი ეკა შინჯიკაშვილი**

„დიდად პატივცემულო ბატონო ტრიფონ, გილოცავთ დაბადების იუბილეს, გისურვებთ ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას ჩვენი ხალხის და შთამომავლობის საკეთილდღეოდ. დაე, თქვენი ულავი ენერჯია ემსახურებოდეს ჩვენი ხალხის ჯანმრთელობას“.

### **ალუა ბარათაშვილი**

„ძვირფასო პაპა, გულოცავთ თქვენი ლამაზი ცხოვრების ოთხმოცდაათ წლისთავს. გკოცნით ავადმყოფობით შეკრული“.

### **ლია ჩლაიძე, თეიმურაზ ჩიქოვანი**

„ბატონო ტრიფონ, ყველა გისურვებთ, როგორც ეტალონს ზეციური ამქვეყნად მოვლინებულს ის ულავი ადამიანური ძალა მრავალი წლების მანძილზე გეტარებინოთ. გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას თქვენი მონაგრებით“.

### **ვ. ჩიკოიძე**

„ბრძანდებით სიკეთის გამოვლინება და ცოცხალი ნიმიში იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ნამდვილმა ადამიანმა“.

### **ქ. გორის სამედიცინო სასწავლებლის კოლექტივი**

## სამადლობელი სტრიქონები

„მოულოდნელად უბედურების შემთხვევის ადგილზე აღმოვჩნდი, დამენვა სახე და ხელები, მივიღე მეორე ხარისხის დამწვრობა, ტკივილების ატანა იმდენად არ მტანჯავდა, როგორც დამახინჯების შიში. საბედნიეროდ, ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების მედპერსონალის, კერძოდ ექიმ ვიქტორ ლოთიშვილის თავდაუზოგავი ზრუნვით არამარტო მე, რვა დასახინჩრებული ადამიანი გადარჩა სიკვდილს და მეც სარკეში გაბედულად ვიცქირები ახლა.

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ცენტრალური აფთიაქის პროვიზორს, ლვანლმოსილ ტრიფონ გამსახურდიას უებარი მალამოს დამზადებისათვის. მადლობა ხელმადლიან, გულისხმიერ ადმიანებს“.

### გ. ტომაშევიჩი

„ყველა გორელისა და გორის რაიონის მცხოვრებთა საყვარელო და ძვირფასო ბიძია ტრიფონ,

ვკითხულობ გაზეთ „გამარჯვებაში“ თქვენს შესახებ დაბეჭდილ წერილს. მიხარია, ვლელავ და ვფიქრობ: როგორ ველოდით ამას მე და, ალბათ, ყველა ჩვენთაგანი. ძალიან წმინდა, ძალიან ფაქიზი გრძნობაა ამ პატარა

ნერილში. მე მეგონა ძალიან ბევრი, მთელი გაზეთის გვერდებზე უნდა დაბეჭდილიყო თქვენზე, მაგრამ მაკ-მაყოფილებს, თითქმის ყველაფერია ნათქვამი. ბარაქა-ლა მის ავტორს. როგორ თვალწინ გაგვირბინა თქვენმა ცხოვრებამ, როგორ გავისიგრძეგანეთ.

ამ გაზეთის ამონაჭერს კიდევ ბევრჯერ ნავიკითხავ და სიამოვნებას, რაც ახლა განვიცადე, ალბათ, ბევრ-ჯერ განმაცდევინებს.

მართლაც, რა ბედნიერი მოქალაქე ბრძანდებით. დიდხანს იცოცხლეთ. დიდხანს აფრქვიეთ ეგ სითბო თქვენს გარშემო, ჩვენო საყვარელო ბიძია ტრიფონ. განა ბევრი გვყავს თქვენნაირი სამზეო ბიძიები?“

### **პატივისცემით ქალაქ გორის მცხოვრები ნორა იორამაშვილი-სიღამონიძე**

„ბატონო ტრიფონ!

ჩემთვის, ქუთაისელი პროვიზორის მ. ქართველი-შვილის ქალიშვილისათვის, უცხო არ არის თეთრხალა-თიანების (დედაც მედიკოსია) თავდადება და თავგან-წირვა ავადმყოფთა დასახმარებლად.

მინდა მაღლობა გიძღვნათ იმისათვის, რომ თქვენ-ნაირები, ისეთ ადამიანებშიც კი, რომლებიც ადამიან-ებს საფეხურების მიხედვით უყურებენ, აღვიძებენ დიდ და სათუთ გრძნობას, დროებით მაინც. რა გისურ-ვოთ? ყველაზე დიდი რამ ამ ქვეყანაზე – ადამიანების

სიყვარული – უკვე მოპოვებული გაქვთ, მაშინ, ისლა  
დამრჩენია, დიდი ხნის სიცოცხლე და ასეთი ჭაბუკური  
შემართება მოგისურვოთ“.

**პატივისცემით მირანდა ქართველიშვილი**  
**ქ. გორი**

„სალამს გიძღვნიტ პატარები,  
ჩვენ საყვარელი ტრიფონ ძიას,  
პაპა სტიოპას მეგობარო,  
მე მოგიძღვნიტ ვარდს და იას...“

**სტიოპა გრიქუროვის შვილიშვილის შვილი**  
**პატარა ანი**

„...და დააბიჯებ ქალაქში,  
ახალ ფიქრებით აშლილი,  
მყინვარწვერვით დათოვლილ  
და მხრებში ლაღად გამლილი...“

**ამალია ტატულაშვილი**

„...თუ შემთხვევით ჩვენს რეცეპტში  
რაც სწერია – არ არის,  
თქვენ თვითონ ხარ, ძია ტრიფონ,  
უებარი წამალი...“

**ლ. დურგლიშვილი**



ეთერი



ნათელა



ელენე ადამიძე



ლიზიკო



მერი



წრიფონ გამსახურდიას ოჯახური თაბიუჯი





1930-იანი წლები. ტრიფონი (ცენტრში, ფარავჯით) კოლეგებთან ერთად.



ტრიფონ გამსახურდია ლ. კეცხოველის ძეგლთან.



ახალგაზრდა ფარმაცევტებთან.



ლადო კეცხოველის მემორიალურ დაფასთან.  
(პირველ რიგში, მარჯვნიდან მეორე)



საყვარელ პიონერებთან.



საიუბილეო  
სალამოზე.





მარცხნიდან მარჯვნივ:  
ელენე (ალექსანდრა)  
კაჭკაჭიშვილი, თამაზ  
გამსახურდია, ნათელა  
გამსახურდია, გრიგოლ  
(გრიშა) გამსახურდია.



ტრიფონ გამსახურდიას ქალიშვილი  
ლიზიკო და თამაზ გამსახურდიები



ალექსანდრე  
გამსახურდია



გულიკო გამსახურდია



დოქტორი ეკეპზარ კლემენსი



ქეთევან გამსახურდია



თამაზის შვილი - გიორგი  
მეუღლესთან ერთად



თეკო - გულიკოს  
ქალიშვილი



ანუკა გამსახურდია -  
ალექსანდრეს შვილი

# მოგონებები

## სათაყვანებელი მეზობლები

ბედნიერი ვარ, რომ ბატონ ტრიფონ გამსახურდიას ოჯახის მეზობლად მომიწია ცხოვრებამ.

ჩემი თვალით მინახავს მათ კართან შეჭირვებულ ადამიანთა რიგი, თითქმის ყოველ სალამოს და დასვენების დღეებშიც კი.

ტრიფონ გამსახურდიას ოჯახს გორელები თვლიდნენ და დღესაც მიაჩნიათ, როგორც ქველმოქმედთა ოჯახი.

მეზობელი თუ რაიმეზე მივიდოდა მათთან, თითქოს ამას ელოდნენო – დატრიალდებოდნენ, დაფაცურდებოდნენ, ალერსს და მხარდაჭერას არ მოგაკლებდნენ. იყო შემთხვევები, როცა პაციენტის სიმპტომების ხასიათი შეუსაბამობაში იყო მათ კონკრეტულ პროფესიასთან. ასეთ დროს ავადმყოფი თავად ბატონ ტრიფონს მიჰყავდა ექიმთან და სახლში კმაყოფილი ბრუნდებოდა მას შემდეგ, რაც დარწმუნდებოდა, რომ მასთან მისული პაციენტი საიმედო ექიმს მიჰგვარა.

მასსოვს ერთი ასეთი შემთხვევა. აფთიაქში მივედი ძია ტრიფონთან. მან თბილად მიმილო, ჩვეულებრივი გულისხმიერებით და ძალიან სწრაფად დამიმზადა

საჭირო მალამო და მოხმარების წესიც განმიმარტა. ამ დროს, გორის რაიონის ერთ-ერთი სოფლიდან მამამ ჩამოიყვანა პატარა შვილი, რომელსაც, რომ იტყვიან, მაღალი სიცხისგან ალმური ასდიოდა. მამას ხელში ეჭირა ძალაგამოცლილი შვილი და დაჟინებით მოითხოვდა რალაც ნამალს.

ძია ტრიფონმა სწრაფად გაიხადა თეთრი ხალათი, ბავშვი თითქმის გამოსტაცა მამას, მიიხუტა მკერდზე და დიდი ნაბიჯებით წავიდა გასასვლელისკენ. გაოცებულ მამას კი მიაძახა: „სასწრაფოდ მომყევი, ამ ბავშვს ექიმი სჭირდება“.

მეც გავყევი უკან. ძია ტრიფონმა სწრაფი და საოცრად დიდი ნაბიჯებით გადაკვეთა ცენტრალური მოედანი და ბავშვთა საავადმყოფოსკენ აიღო გეზი. ბავშვის მამა ქლოშინით მისდევდა, მაგრამ ვერ ენეოდა (აქვე ვიტყვი, რომ ძია ტრიფონი იშვიათად სარგებლობდა ავტომანქანით).

ბატონ ტრიფონზე და მისი ოჯახის კეთილ საქმეებზე ლეგენდები დადიოდა გორში. ვისაც კი მათ ოჯახთან შეხება ჰქონია – ყველა კმაყოფილი, აღტაცებული და მაღლიერი იყო და არის.

მეგობრული და განსაკუთრებული მეზობლური ურთიერთობა მაკავშირებს ბატონ ტრიფონის შვილთან, ქალბატონ ნათელასთან, რომელსაც მთელი საზოგადოება იცნობს, როგორც უმაღლესი კა-



ტეგორიის კარდიოლოგს.

ქალბატონ ნათელას, სულ ახლახანს მიანიჭეს გორის საპატიო მოქალაქის წოდება, რაც თავისთავად მეტყველებს მის ღვაწლსა და გარჯაზე ადამიანების საკეთილდღეოდ.

ვუსურვებ რა ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, მსურს ქალბატონ ნათელას მოვეფერო პატარა ლექსით.

სიამაყე ხართ გორელების და  
 სხვის გულისცემას გულით ატარებთ,  
 ვისაც კი თქვენი ნახვა ეღირსა,  
 მადლით ახსოვხართ, დიდს თუ პატარებს.  
 სათნო დედისა რომ ხართ გაზრდილი,  
 ბრძენთა-ბრძენი კი რომ გყავდათ მამა,  
 მალლა გეჭირათ ქალის მანდილი,  
 ვერა დაგაკლოთ ჭირვეულ ხანამ.  
 მეზობლებისთვის ღვთიურო ქალო,  
 ნათესავების გიცნობთ იმედად,  
 თქვენ რომ სიკეთის გალენეთ კალო,  
 არ დაივიწყებს მოდგმა ივერთა.

ნანა ამბოკაძე

## ყველასთვის სამაგალითო

ამაყად დააბიჯებდა გორის ქუჩებში პატიოსანი, კეთილი კაცი, რომელიც ირგვლივ სიკეთეს და სიყვარულს აფრქვევდა.

ძია ტრიფონი – ასე ეძახდა მას საზოგადოება, რომელსაც დღესაც დიდი პატივისცემით მოიგონებენ და დიდ პატივს მიაგებენ მის ხსოვნას. განსაკუთრებით ძვირფასი იყო დღევანდელ აფთიაქში („გორფარმი“) მომუშავე ე.წ. ძველი თაობის ფარმაცევტებისათვის ის წლები, რომელიც მასთან ერთად გვაქვს გატარებული. ჩვენ დიდი გამოცდილება და ცოდნა მოგვცა მის გვერდით მუშაობამ. იგი სამაგალითო იყო ჩვენთვის, როგორც სპეციალისტი, როგორც ადამიანი – სიკეთითა და სათნოებით შემკობილი პიროვნება.

დღეს, ჩვენს აფთიაქში შემოსული ადამიანების უმეტესობა, ჯერ ძია ტრიფონს იხსენებს, მერე მიაყოლებს „ღმერთმა აცხონოსო“ და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვმართავს თავისი პირადი თხოვნით – „ძია ტროფონის რეცეპტით დამიმზადეთ წამალი“.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენ ტრიფონ გამსახურდიას მიერ დატოვებული რეცეპტურით ვხელმძღვანელობთ (ასეთი რეცეპტურა მან დაუტოვა ექიმებსაც).

ტრიფონ გამსახურდია ყველას ერთნაირი ყურადღებით და ერთნაირი მონდომებით ემსახურებოდა – გამონერდა რეცეპტს და მაშინვე დაუმზადებდა საჭირო ნამალს. თუ ნამლისთვის აუცილებელი რომელიმე კომპონენტი არ აღმოგვაჩნდებოდა – გადარეკავდა ტელეფონით ყველგან და მიასწავლიდა პაციენტს. ხანდაზმულებს თვითონ ეხმარებოდა, თვითონ მოჰქონდა (სხვა აფთიაქიდან) და სწრაფად ამზადებდა ნამალს ყოველგვარი ანგარების გარეშე. საოცარია, რომ მის ბინაზე მისულ პაციენტებს ასევე ხალისით და უანგაროდ ემსახურებოდა ძია ტრიფონი და ამაში იგი დიდ სიამოვნებას იღებდა. არც ღიმილს მოაკლებდა ვინმეს ეს დიდებული პიროვნება.

მამას ბაძავდა მისი სამი შვილი (ოთხიდან), შვილი-შვილები და სიძე, რომლებიც ასევე იდგნენ და დგანან ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე და ამრავლებდნენ და ამრავლებენ გამსახურდიების მედიკოსთა დიდი ოჯახის ღირსებას და დიდებას.

ძია ტრიფონმა თავის უნიკალურ რეცეპტურასთან და გამოცდილებასთან ერთად დაგვიტოვა სახელმძღვანელოდ საცხოვრისო კრედო – სიკეთე, პატიოსნება, სიყვარული, მოყვასის პატივისცემა და მომავალი თაობებისათვის გამოცდილების უშურველი გადაცემა.

ვცდილობთ, მაქსიმალურად დავიცვათ ძია ტრიფონის კრედო და ჩრდილი არ მივაყენოთ მის ხსოვნას.

ძია ტრიფონი იყო მართლაც კაცი-კოლორიტი, რომელიც ძალიან დააკლდა ჩვენს ქალაქს.

უკვდავია მისი სახელი დღეს და ასე იქნება მომავალშიც.

ტრიფონ გამსახურდიას სახელი განსაკუთრებული რუდუნებით გადაეცემა მომავალ თაობებს.

**ზ. ერაძე-გიგაური,  
პროვიზორი**



გილოცავთ ღმრთი შობა – ახალ წელს!

ვისურვებთ მშვედობას, კანმრთელობას, სიხარულს, კეთილდღეობას...

იმედი გვაქვს 2017 წელი თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის სასიკეთო

ცვლილებებისა და ახალი მიღწევების წელი იქნება. ბედნიერ დღესასწაულს ვისურვებთ!

შრავად ახალ წელს დაქსნაობით!

პატივისცემით,

ზურაბ ჯან კეკელიძე

ქალაქ გიორის მუნიციპალიტეტის მერა

პატივისცემით,

იოსებ მაკრანძე

ქალაქ გიორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

პატივისცემით,

ზურაბ როსტომიძე

ქალაქ გიორის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის პ/მ

## „ესე ჰომო“ – აი, კაცი

ტრიფონ გამსახურდია – ეს სახელი და გვარი ყველა გორელისათვის არის ძვირფასი და სათუთად მოსაფერებელ-გასახსენებელი.

არა მგონია გორში იყოს ოჯახი, ვისთვისაც მას, თავისი მადლიანი ხელით, არ შეეთავაზებინოს სამკურნალო წამალი, არ მიეცეს შესაბამისი დარიგება და არ ჩაესახოს უკეთესი მომავლის იმედი.

ერთხელ წამლის დასამზადებლად მივაკითხე აფთიაქს. ბატონმა ტრიფონმა რეცეპტში წაიკითხა ჩემი გვარი და მკითხა – სადაური მარწყვიშვილი ბრძანდებიო?! შინდისიდან გახლავათ-მეთქი, – ვუპასუხე. აბა, მამ, მითხარი, მაყვალა ბათუმაშვილს თუ იცნობო.

– კი, როგორ არა, ბიძაშვილია; დედა, ნინა მარწყვიშვილი ჩემი მამიდა იყო (ქალბატონი მაყვალა შესაბამის სამინისტროში მუშაობდა ელექტროინჟინრად).

– ჰოდა, იცოდე – ეგ ქალბატონი ჩემი ოჯახის ძვირფასი ადამიანია, ჩემი შვილების მეგობარი.

მას შემდეგ, აფთიაქში მისულს ყოველთვის ღიმილით მესალმებოდა ხოლმე. ხალისიანად მომმართავდა – აბა, რით ვემსახუროთ მარწყვიშვილებსო?!

სასურსათო მაღაზიაშიც შევხვდი ერთხელ ბატონ ტრიფონს. დავინახე ფული როგორ გადაანოდა გამყიდველს თხოვნით – „ორი კილოგრამი მოწონიკი ამი-

ნონეთო“. გამიკვირდა, ეს რაღა არის-მეთქი, მაგრამ როცა აწონილი პროდუქტი დავინახე, ჩემდაუნებურად წამომცდა – „სასისკი“ ყოფილა-მეთქი.

ბატონმა ტრიფონმა შემომხედა და მითხრა – „სწორი ქართულით ინებეთ საუბარიო“.

შესანიშნავი შვილების მამა გახლდათ ბატონი ტრიფონი. ახლო ურთიერთობები მქონდა მათთან.

საფეიქრო კომბინატის მედპუნქტში (პოლიკლინიკაში) ვმუშაობდი ექთნად, სადაც გავიცანი ბატონი ტრიფონის ქალიშვილი ლიზიკო. ჩემთვის ბედნიერება იყო მასთან სიახლოვე.

ქალაქის პოლიკლინიკაში გადასვლის შემდეგ კი ბედმა გამილიმა და დავუახლოვდი ქალბატონ ნათელა გამსახურდიას. ქალბატონ ეთერისთანაც მქონდა ურთიერთობა, როგორც მის პაციენტს.

ამ ქალბატონებში ვხედავდი მამის განსახიერებას. „კვიცი გვარზე ხტისო“ – ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი! უალრესად კეთილშობილნი, განათლებულები, თავისი საქმის კარგი მცოდნენი და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია – მაღალი ადამიანური ღირსებებით, კეთილმოსურნეობით, პროფესიონალიზმით და ხალხის უანგარო მსახურებით გამორჩეულები.

დაე, იმრავლოს და იმზეგრძელოს გამსახურდიების მონაგარმა. ღმერთმა გვიმრავლოს ტრიფონ გამსახურდიასნაირი ერისკაცები.

**მერი მარწყვიშვილი**



ლომად ვაქცევქეთათ 'ბაქონთ ქრთოფონ'!

მუნა მთქვეთი მოფესალოთთ ქლავის ყველა ახალგაზრდის; ყველა კომუნ-  
ქრთოფონის ხსენებით. ღუაფს ღუაფს სიამაყით ვქმითთ თქვენს მიერ განკეთილი მ-  
ქონის ფურცლებს, ფურცლებს სავსეს ხოტონით ადამიანების ყუთოლოდღობი-  
სათვის, მათი სეროტხლას და კანძოლოთონისათვის.

ყველა დათეს თავის უმთო ჰყავს, თავისი პირველი კარგი. ასეთად გიჯობთ თქვენ,  
'ბაქონთ ქრთოფონ', ასეთ უბნებოთხოთ, ადამიანთ ქუთოლომობოლოქმას რომ ვაქცევით.  
თქვენ ხომ საყოფართი ღუაფ ხელათონების ავროთი ბრძანებებით. თქვენს ცხოვრობისყოფა  
მავალითონებე განხლად მონაკლით ამათა შიქოლოქმას ბელოთისათვის ის, თარე თქვენ აქამდე  
ვაქცეთ თქენი ხეობის საყოფოლოდ, მათოლოც მხელოვალი იყოს, მხოლოდ არა  
თქვენთვის, არამც და არამც! თქენი ღუთქოლოქლი გიხელოთ, განსაკუთრებული ყუ-  
თადღობისათვის ადამიანთ ღუაფ სიყვარული და პატივისცემა დამახსოვროთ. იქელს თვალით  
შქოლოვალით ღუაფ და პატივით. თქვენ ხომ ხმდელიე კადქართა ბრძანებებით, ყუთოლი კ-  
დოქართი, თოქოქმასარე ხანძელიელოქმი შიქოქლითა ჩიქონთს სახსარული. ქსა თქენი თავადღ-  
ბელოთი შიქონა, ადამიანების ყუნებათ სიყვარული. თქენ და თქენი ხარყვა იხევე გან-  
კანხადებლად მთქმდენს ადამიანთ, თოქოქორე თქვენს მიერ ღმხადებელიე მავალით.

'ბაქონთ ქრთოფონ'! თქენი ჰქმდართქვან ნაყოფილოქი და ხსენათონი ცხოვრობის ღუ-  
თებოლო ხანოქით ღუაფს, სყოფით და გულოთი მოგელოთოლოცე დამდენის შიქი და შიქოქითი სა-  
ქმანობის 70 ხეობისათვის. ქლავის ახალგაზრდობა ღუაფ აქსაქმს თქვენს ღუაფობს ხლო-  
ნის კანძოლოქმასის ღუაფის საქმანოქოქმი. მონაკლი 50 ხეობის ვასყოფით, 'ბაქონთ ქრ-  
თონ' ყუთოლოთის ყუთოლოთაყვით ასეთი ხეობისათვის, მხენი, ღუთინაკლით, შიქონისმთყოფაქი,  
ხეობისმთყოფაქი. სყოფა ხანძაქმანობითი ყველათი თქვენს მიერ ათხოვთ ათხოვთ. მავ-  
რომი ყუთოლოქმობილოთოქოქი გინაქი.

საქართველოთის ალოყუ გუთონის ქლავაქლითი

## ჩვენი სიამაყე, ბატონი ტრიფონი

ძია ტრიფონ! ასე მიმართავდა მას ყველა, ვინც იცნობდა, თუ არ იცნობდა.

მაღალი, სათვალეებით, გამხდარი, თეთრი ხალათით, ხანდაზმული, დასამახსოვრებელი ნათელი პირსახით, ცოცხალი, მოძრავი თვალეებით. ყურადღებით უსმენდა ყველას, უცნობს თუ ნაცნობს. მასთან პირველივე შეხვედრიდან გრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ საქმე გაქვს სულით მდიდარ ადამიანთან. მისთვის უმთავრესი იყო შენი გაჭირვება და ამიტომ გულისყურით გისმენდა თუ რა განუხებდა, რა გსურდა, რას სთხოვდი, რითი შეეძლო შენი შველა და ა.შ.

დაგვისვამდა რამდენიმე მოკლე შეკითხვას და რამდენიმე წუთში გეტყოდა თუ როდის მისულიყავი დამზადებული სამკურნალო საშუალების მისაღებად.

ძია ტრიფონი იყო საოცრად ზუსტი და პუნქტუალური ყველაფერში და ყოველთვის. დანიშნულ დროს ნამალი მზად იყო. გადმოგცემდა და იქვე დაგარიგებდა, თუ როგორ გამოგეყენებინა. დანვრილებით აგისხნიდა ნამლის მოხმარების წესს და მოსალოდნელ პოზიტიურ შედეგებზეც გეტყოდა ორიოდ სიტყვას.



ტრიფონ გამსახურდია იყო უნიკალური პიროვნება: ექთანი, ექიმი, პროვიზორი, მალამოების დიდოსტატი და, რაც ყველაზე მთავარია – უმაღლესი შინაგანი კულტურისა და სულიერი სიმდიდრის მეპატრონე. შეიძლება ითქვას, რომ ტრიფონ გამსახურდიას ჰობი იყო ადამიანებისადმი მაქსიმალური ყურადღების მიპყრობა და მხარში ამოდგომა. ერთი სიტყვით, იგი გახლდათ გორელების (და არა მხოლოდ გორელების) გაჭირვების ტალკვესი.

მეამაყება, რომ მამაჩემმა დაგვიტოვა ტრიფონ გამსახურდიას ნაქონი გერმანული ანტიკვარული როიალი „შრედერი“ (1880-იან წლებში გამოშვებული). მისი შეხედვა ყოველთვის მახსენებს ყველასთვის საყვარელ, დიდებულ პიროვნებას, ბატონ ტრიფონს. მგონია, რომ მის კლავიშებზე დღესაც არის შემორჩენილი ძია ტრიფონის გრძელი თითების ანაბეჭდი.

ჩემი ღრმა რწმენით, თუ ვინმეს ეკუთვნის „გამორჩეული გორელის“ სახელი და არდავინყება – ერთ-ერთი პირველთაგანი უნდა იყოს ტრიფონ გამსახურდია. ასეთ ადამიანებს ძეგლს უდგამენ, მის სახელსაც არქმევენ სკვერებს, ქუჩებს და ა.შ.

კარგი იქნება, თუ გაკეთდება მემორიალური დაფა იმ აფთიაქის (ყოფილი) შენობაზე, სადაც რამდენიმე ათეული წელი მუხლდაუღლელად იმუშავა ბატონმა ტრიფონმა.

კარგი იქნებოდა, თუ შეიქმნებოდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ტელეფილმი ტრიფონ გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ და ა.შ.

ასეთი ადამიანების ღვაწლი სათანადოდ (საისტორიოდ, მომავალი თაობებისთვის) უნდა იყოს დაფასებული.

მე, როგორც ერთი რიგითი გორელი, გულში სათუთად ვინახავ ტრიფონ გამსახურდიას, როგორც ღირსეული მამულიშვილის, სამარადისო ხსოვნას.

**რ. თოროზაშვილი**

## ტრიფონ გამსახურდიას

ჩამოეხია შენს კალენდარს  
ბოლო ფურცელი,  
ჩვენს ჯანმრთელობას შენი ჩრდილი  
ისევ პატრონობს,  
აქ აღარა ხარ... შენგან უკვე  
ლოცვას მოველით,  
ტრიფონ ბატონო!

**სოფიკო მექვაბიშვილი**

## სიკეთის მთესველი კეთილ შედეგსაც იმკიდა...

ბატონ ტრიფონ გამსახურდიას სტუდენტობის წლებიდან ვიცნობდი.

ჩემი გამოჩენა გორში მისთვისაც სასიხარულო იყო. გამეცნო და გულთან მიიტანა, რომ წარმოშობით ფოთიდან გახლდით და თანაც საამაყო გვარის წარმომადგენელი – პაიჭაძე! ბატონ ტრიფონს ძალიან უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი. გამორჩეულად ეთაყვანებოდა ბორის პაიჭაძეს, რომლის თამაშს ყოველთვის ადევნებდა თვალს. ჩემი უახლოესი მეგობარი იყო ბატონ ტრიფონის უფროსი შვილიშვილი, ან გარდაცვლილი ქალბატონი დოდო აივაზიშვილი.

ბატონმა ტრიფონმა, ამ დიდმა ადამიანმა, მოინდომა ჩემს თამაშს დასწრებოდა. ჩემმა მეგობარმა დოდომ იგი გამოიყვანა აფთიაქიდან (საერთოდ არ უყვარდა აფთიაქიდან გასვლა, რადგან სიამოვნებდა, პაციენტებს ადგილზე დახვედროდა); რომ გაიგო, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კალათბურთულ ქალთა გუნდის ჩამოსვლის შესახებ, გაიხარა და ბრძანა: „მე ნონა პაიჭაძის „საბალეშჩიკოდ“ მივდივარ, ჩემო დოდოო“. ბატონ გიორგი ხარაულს (ინსტიტუტის რექტორს) ძალიან

გაუხარდა და გაუკვირდა ბატონი ტრიფონის გამოჩენა სპორტულ დარბაზში. იგი ლოჯაში მიიწვია. იქ ისხდნენ ჩვენი გულშემატკივრები, პედაგოგ-ლექტორები: ინსტიტუტის ექიმი ბატონი ვასილ კასრაძე, ლექტორი ივანე აივაზიშვილი, დეკანი გიორგი ჩიტაია, ფიზიკა-მათემატიკის კათედრის გამგე, ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი (სიკო ხოჯევანიშვილი). ისინი ჩემი დიდი გულშემატკივრები იყვნენ. დაიწყო თამაში. მათ მიხილეს როგორც გუნდის თავი. ბატონ ტრიფონს სახეზე სინითლემ გადაუარა, აღფრთოვანებას ვერ მალავდა. პირველმა შემოკრა ტაში. ჩემთვის მოულოდნელი იყო მისი დანახვა ლოჯაში. მეც, რაც შემეძლო, კალათი „გავავსე“ ბურთებით. თამაში გორის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. სანამ მოედანს დავტოვებდი, ბატონმა გ. ხარაულმა დამიძახა, მომილოცა წარმატება. ბატონი ტრიფონიც მოვიდა. ორივემ დამლოცა და ჩემს თაყვანისმცემლად წარმომიდგინეს თავი. ბატონმა ტრიფონმა მთხოვა, არასდროს მომაკლო შენს თამაშზე დასწრების სიამოვნებაო. „შენ ნამდვილი პაიჭაძეც ხარ და ნონაც, რადგან გაფრინდაშვილის სახელსაც ამართლებო“.

გაგრძელდა მეგობრობა ბატონ ტრიფონთან და მის ქალიშვილებთან.

გორის საზოგადოებას სჯეროდა და მათ შორის მეც, რომ ბატონი ტრიფონი იყო „კაცი ლეგენდა“. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მისი ქალიშვილის,

ქალბატონ ეთერის ოჯახში, რადგან სტუდენტობისას მასთან ახლოს ვცხოვრობდი ნაქირავე ბინაში, წერეთლის ქუჩაზე, ბანკის მმართველის, ბაგრატ იასამანოვის სახლში. ჩვენი საუბრის თემა მუდამ იყო სპორტი და სწავლა. უახლოესი მეგობრობა მქონდა (გათხოვების შემდეგ) ბატონ ტრიფონის მეორე ქალიშვილთან, ლიზიკოსთან, რომელიც მეგობრობდა ჩემი მეუღლის მამიდაშვილთან, ექიმ რუსუდან ბარნაბიშვილთან. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ოჯახებში ჭიქა ყავაზე. დიდი სიყვარულით ვსაუბრობდით ბატონ ტრიფონზე, როგორც კარგ მეოჯახეზე, შვილების მოამაგე მამაზე, უდიდეს პროფესიონალზე, ჯენტლმენზე, მოკრძალებულ მოქალაქესა და ხალხის იმედ-ნუგეშზე.

არასდროს დამავინწყდება ჩემდამი მისი ყურადღება.

მან თავისი ადამიანობითა და გულისხმიერებით დაახსომა ყველას თავი. იგი ვალმოხდილი ნავიდა ამქვეყნიდან და დაგვიტოვა უდიდესი წუხილი.

ჩემი შვილები და ბატონი ტრიფონის შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები დღესაც აგრძელებენ მეგობრობას. მე კი მეამაყება, რომ ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობით გარკვეული წვლილი შევიტანე მისი მონაგარის აღზრდაში და ამით მცირეოდენი პატივი მივაგე მის ნათელ ხსოვნას.

**ნონა პაიჭაძე**

# დაცვეცემული

## ცრიფონ პეტრეს-ძევ!



აქარზელოს სსრ კანძრთელოზის  
 დაცვის სამისცროს მთავარი საფთიიქო სამ-  
 მარზელოს კოლოქცივი სულოთა და გულოთ  
 მოქესლოქშით და ტულწრველად ტილოცავო  
 დაბადებშიან 80 და ფარმაცრეცული მო-  
 ჟეაქროჭის 60 წლისთავს.

60 წლის განმავლობაში ოქვენს მიერ  
 განულოთი ნაყოფიერი და მუქოქმეიქიითი ტა,  
 საქმისადმი დიდი სიყვარულით და ცოცხნითა  
 ტაქუქეშული. დიდი და ტანუზომეო თქენი  
 როლი სასახხო კანძრთელოზის დაცვის, კომუნის-  
 მის მუქნეშელი ადამიანების კეთილდციეობის  
 აღმავლობის და ასალოჯასრდა ფარმაცრეცული  
 კადრების აღზრდისა და მათი საქმიანი კვალი-  
 ვიქაქის ამაღუჭის საქმეში. ამიტომაც არა მარცო  
 ჩვენ, არამედ ყველა მუქროქელი ქ. კოლისა და  
 მისი სოჭოქებისა დიდი სისარულით აღნიშნვენ  
 თქვენს იუბილოს.

მსურველად ტილოცავო საიუბილოთ თარის,  
 ტისურვეთ კანძრთელოზას, დავიდქელოზას, და  
 მომავლომიდაც ასეთი ასალოჯანდელი ქენეციით  
 და ფარმაცრეცულით გამსახუროთ ჩენი სამლოზობის  
 მუქროქელით კანძრთელოზის დაცვის კეთილმოქიერ  
 საქმეს.

მთავარ საფთიიქო  
 სამკანძრთელოზის კოლოქცივის  
 სასელით:

მთ. ს. ს. სუჭროსის

*Handwritten signature*

მოავცილოქ: რ. სირაძე

10 თებერვალი  
 1976 წელი

## კაცი-მკურნალი უზარმაზარი, მოსიყვარულე გულით

ტრიფონ გამსახურდიას ვინც იცნობდა – ალბათ, ყველას კარგად ემახსოვრება, როგორც გარეგნულად მაღალი და ახოვანი, მოსიყვარულე თვალთამზერით და საოცრად თბილი გულით.

ვინც არ უნდა ყოფილიყო მისული აფთიაქში, ძია ტრიფონისაგან (უმეტესობა ასე მიმართავდა) მიიღებდა იმედით სავსე განწყობას, დარიგებას, თუ როგორ მოქცეულიყო, როგორ განეკურნა დაავადება და ა.შ.

თუ აფთიაქში არ აღმოჩნდებოდა მზა ნამალი, მაშინ იგი თავად გამოწერდა რეცეპტს, თვითონვე დაამზადებდა ნამალს და გეტყოდა – ამ რეცეპტით სხვაგანაც დაამზადებენ თქვენთვის საჭირო სამკურნალო საშუალებასო. რეცეპტი კარგად შეინახეთო.

ტრიფონ გამსახურდია უფლისგან იყო დაჯილდოებული ადამიანებისადმი დიდი სიყვარულით.

ტრიფონისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა პაციენტის ასაკს, სქესს, მრწამსს, ეროვნებას და ა.შ. იგი ყველას ეფერებოდა, ამხნევებდა და კურნავდა ერთნაირი თავდადებით, ერთგულებით, ზედმინეგნითი სიზუსტით და აბსოლუტურად უანგაროდ (გუ-

ლისტკივილს და გაბრაზებას ვერ მაღავდა, თუ ვინმე გაუბედავდა სამადლობლოდ რაიმეს შეთავაზებას). მის მიერვე დამზადებულ მაღამოსავით ედებოდა და ესალმუნებოდა გაჭირვებულს.

ასეთად მახსოვს მე და, ვფიქრობ, ყველას, ვისაც კი თუნდაც ერთხელ მოუწია ძია ტრიფონის, თუნდაც ხანმოკლე დროით, ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ ყოფნა.

ნათელი არ მოჰკლებოდეს მის სულს ცათა სასუფეველში.

**რეზო აბრამიშვილი**

## ჩემი მოგონებები ტრიფონ პეტრეს ძეს შესახებ

ის იყო არაჩვეულებრივი ადამიანი. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვიცნობდი მას, მქონდა მასთან საქმიანი შეხება და დროის მოკლე პერიოდში ვიყავი მისი პაციენტი.

1970 წელს პედაგოგიურ ინსტიტუტში მოსაწყობად დამჭირდა ერთწლიანი სამუშაო სტაჟი. სამუშაოდ მიმიღეს ქალაქის საავადმყოფოში (თავად ამილახვრების ყოფილი სახლი; იქ იყო გინეკოლოგიის განყოფილება).



ფილესაც და სამშობიარო სახლიც). ერთ-ერთ ოთახში ფუნქციონირებდა აფთიაქიც, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნინა რუსიტაშვილი. მე ვიყავი სანიტარი და იმავდროულიად ქალბატონ ნინა რ-ს დამხმარე. ჩვენ ცენტრალური აფთიაქის გამესთან ერთად ჩავდიოდით სარდაფში, სადაც ინახებოდა წამლები და ვარჩევდით ჩვენთვის აუცილებელს. გვინევდა ბევრი ქაღალდების წერა და საუბარი ამათუიმ წამლის შესახებ.

აღმოვაჩინე, რომ ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო იქ ყოფნა, ერთი ხანდაზმული, დიდყურებიანი და ასევე დიდი ცხვირით, სრულიად მელოტი მამაკაცის გამო, რომელიც ძალიან საინტერესო პიროვნება გახლდათ და რომელიც ყოველგვარი ცნობარებისა და სხვა სამედიცინო წიგნების გარეშე, ზეპირად წერდა უამრავ რეცეპტს. არავის ტოვებდა ყურადღების გარეშე: „თქვენ რატომ მობრძანდით“, „რით შემოიძლია დაგეხმაროთ“ და ა.შ. ყველას უსმენდა დიდი გულისყურით და მერე (თუ საჭირო იყო) მiasწავლიდა, სად შეეძინათ ესათუის წამალი ან რომელ ექიმთან მისულიყვნენ.

თუ მორიდებულ პაციენტს შეამჩნევდა, თვითონ გავიდოდა დარბაზში, გაესაუბრებოდა, დაარიგებდა, წამალს შეურჩევდა ან თვითონ დაუმზადებდა, რაც შეიძლება სწრაფად, ასწავლიდა მიღების წესს, მოეფერებოდა და დაამშვიდებდა.

როცა მოდიოდნენ ახალგაზრდა გოგონები და

სცხვენოდათ (რაღაც-რაღაცეების გამო), იგი თვითონ მიდიოდა მათთან – გაეხუმრებოდა, გააცინებდა და დაუყვავებდა; ასეთ დროს თვითონაც ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

ტრიფონ პეტრეს ძეს არ უყვარდა, როდესაც აქებდნენ და მრავალჯერ ეუბნებოდნენ მადლობას. „კარგით, კარგით, გეყოფათ... აბა, ახლავე მოუსვით სახლისკენო“, ეტყოდა ხოლმე ოდნავნაწყენი კილოთი.

ზოგჯერ შეკითხვებს ვაძლევდი ხოლმე. იგი ყოველთვის მპასუხობდა. არასდროს უგრძობინებია, რომ ჩემი შეკითხვები ან იქ ყოფნა იყო მოსაბეზრებელი, პირიქით, მეჩვენებოდა, რომ უხაროდა ჩემი მისვლა.

1972 წელს საავადმყოფო და სამშობიარო სახლიც გადაიტანეს წმინდანყლის დასახლებაში. მე განმანესეს ქირურგიულ განყოფილებაში და ჩამაბარეს სტერილიზაციის უბანი. მას შემდეგ აღარ მიწევდა აფთიაქში წასვლა.

ერთხელ, სტერილიზაციის მიზნით, მოიტანეს გლუკოზა ორლიტრიანი მინის ჭურჭლებით. სტერილიზაციის პროცესი ნორმალურად წარიმართა, მაგრამ ავტოკლავიდან ამოღების დროს ერთი ქილა ჩაგვივარდა. გაცხელებულმა ხსნარმა დამინვა სახე, რომელიც მომენტალურად დაემსგავსა გაბერილ და განითლებულ შარს. ყველას ძალიან შეეშინდა, მაგრამ უცბად მიიღეს გადაწყვეტილება – „ჩქარა ტრიფონთან, მხოლოდ ტრი-

ფონთან“ – გაიძახოდნენ და მიბიძგებდნენ მანქანისკენ (თუმცა ვიმყოფებოდი საავადმყოფოში).

სანამ მანქანით მივდიოდით, შემხვედრი ჰაერი მიგრილებდა სახეს და შეიძლებოდა მოთმენა.

აფთიაქში შესვლისას ნინამ ხმამაღლა შეჰყვირა – „ძია ტრიფონ, მიშველე“.

– რითი?!

– გლუკოზით.

– ნუ გეშინიათ!

ეს თქვა და პატარა ბიჭივით წამოხტა, მანამ თავის მაღალ ტანს სრულად გამართავდა, დიდი ნაბიჯებით დარბოდა მაგიდებს შორის, მერე გავარდა მეორე განყოფილებაში და იპოვა საჭირო ფიალა, შეავსო იგი შესაბამისი ინგრედიენტებით, გზადაგზა ურევდა სუსპენზიას და მომიახლოვდა სწრაფი ნაბიჯებით. თავისი გრძელი და საოცრად მგრძნობიარე თითებით შემიზილა მთელი სახე. თან სულ ილიმებოდა. უცბათ ვიგრძენი შვება (ვნანობ, რომ ვინუნებდი მის გარეგნულ სილამაზეს. ის თავად გახლდათ სიკეთისა და შინაგანი სითბოს საოცარი წყარო). ვიტრინაში დავინახე ჩემი „ნილბიანი“ სალათისფერი სახე (გვიან გავიგე, რომ იგი, პირველ რიგში, იყო დამწვრობების მკურნალი).

სანახავად მოვიდა ჩემი და ნ. გ. დავამშვიდე – „ტრიფონის მაღამოა, მალე გაივლის ისე, რომ კვალიც არ დარჩება“.

ჩემმა დამ სცადა, დიდი მადლობის ნიშნად, რაღაც საფასური გადაეხადა... აი, აქ კი ვნახე სულ სხვა ტრიფონი – მკაცრი გამომეტყველებით შეხედა ჩემს დას და მიახალა საოცრად გაბრაზებულმა: „ნაიყვანე გოგონა, დაამშვიდე, დაანვინე, მალამოთი შეუზილე სახე და ერთი თვე მოარიდე მზეს, თორემ სახეზე დარჩება ლაქები“.

ეს თქვა, სწრაფად შეტრიალდა და დიდი ნაბიჯებით გაგვეცალა ისე, რომ არავითარი ყურადღება აღარ მიუქცევია ჩემი დის სამადლობელი სიტყვებისთვის.

მე კი სრულად განვიკურნე, სახეზე არ დამრჩენია არავითარი კვალი.

ქუჩაში შეხვედრისას მცნობდა, ქუდს მოიხდიდა და თავის დახრით მესალმებოდა. ფვიქრობდი – ქუდს საერთოდ არ უნდა ატარებდეს-მეთქი, რადგან ყოველ ნაბიჯზე ესალმებოდნენ, ყველა იცნობდა და ისიც ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ თავის დაბლა დახრით ესალმებოდა ყველას და არც ღიმილს იშურებდა.

გამვლელებს თვალები სიხარულით უბრწყინავდათ და სიამაყის გრძნობა ეძალებოდათ ასეთი ნაცნობობით.

ხშირად აჩერებდა შემხვედრებს და გამოჰკითხავდა თუ როგორ არიან, ბავშვები როგორ სწავლობენ, როგორ ჰყავთ სიდედრ-სიმამრი თუ დედამთილ-მამამთილი, უსურვებდა ჯანმრთელობას და ა.შ.

ერთხელ ჩემი 6 წლის ბიჭი წავიყვანე ტრიფონ პეტრეს ძესთან აფთიაქში. აღმოჩნდა, რომ იგი იმ დღეს არ მუშაობდა. მივედით მის სახლში. ქალბატონმა, რომელმაც კარი გაგვიღო, გვითხრა, რომ მას სძინავს და თუ ძალიან საჩქარო არ იყო, მოგვიანებით მივსულიყავით. ამ დროს ოთახიდან მოისმა ხმა – „შემოიყვანე“. ჩაჯდა სავარძელში და დახუჭული თვალებით მისმენდა (მომერიდა, ეტყობა, ის მართლაც ისვენებდა).

ტრიფონ პეტრეს ძემ გაახილა თვალები, ერთი წუთი ათვალაიერებდა ჩემს ბიჭს და თბილად მომმართა: „ნუ ღელავთ დედიკო, ეს უბრალო რამაა, ხდება, გაცივდა...“ დამარიგა, თუ როგორ მოვქცეულიყავი და წავიდა დასასვენებელი ოთახისკენ.

მომერიდა, რომ უბრალო რამისთვის შევანუხე დიდებული პიროვნება.

ერთხელ კიდევ ვიყავი მასთან აფთიაქში ჩემი საკითხების მოსაგვარებლად.

თავდახრილი ჩასცქეროდა საერთო რვეულს და რალაცეებს წერდა. ძალიან დაღლილად მომეჩვენა, თვალები ერთიანად ჩანითლებული ჰქონდა.

როგორც ძველმა ნაცნობმა, გავუბედე და ვუთხარი: „თქვენ, ალბათ, უკვე გიძნელდებათ მუშაობა“.

– კი, შვილო, ძნელია, მე ხომ უკვე 92 წლის ვარ და მუშაობის 60 წლის სტაჟი მაქვს...

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ამდენი ათეული წელი ხალხის სამსახურში და მერე როგორ მსახურებაში (!).

ახლა მე ვმუშაობ მუზეუმში. გაზეთები იტყობინება, რომ ტრიფონ პეტრეს ძე არის ქალაქის საპატიო მოქალაქე, რომ მან იზეიმა „ბრილიანტის ქორწილი“, რომ ქალაქს იგი უყვარდა და უყვარს დიდი სიყვარულით და ა.შ.

ამაყი ვარ, რომ ვიცნობდი მას ცოცხალს, რომ მისაუბრია მასთან, მართლაც რომ დიდ პიროვნებასთან.

**ნატალია ბელენკო,  
გორის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული  
მუზეუმის თანამშრომელი**

## ძია ტრიფონი

გორში, სტალინის 24 საცხოვრებელი ბინის ეზოს სამხრეთ ნაწილში მაგიდა და სკამები გვექონდა მონყობილი და მეზობლები სალამოობით ვიკრიბებოდით გასართობად (ნარდი, დომინო, ჭადრაკი და ა.შ.).

ამავე მაგიდასთან ხშირად ვინვევდი ბავშვებს და ვართობდი – ვუყვებოდი საინტერესო ამბებს, ვუკითხავდი ლექსებს; ბიჭებს ვასწავლიდი სხვადასხვა ინსტრუმენტის (ხერხი, ჩაქუჩი, ლოჯვი, ქანჩი, შალაშინი,

ხელეწო და სხვა) გამოყენებას, ხოლო გოგონებს მაგიდის დალაგებას, ეზოს დაგვა-გასუფთავებას, ჭურჭლის ხმარებას და ა.შ.

ერთხელ, სახლისკენ მიმავალმა ძია ტრიფონმა შეგვამჩნია და ჩვენსკენ შემოტრიალდა. მოგვიახლოვდა დიდი ნაბიჯებით და გვითხრა – აბა, რას საქმიანობთო. მოგვიწონა „საქმიანობა“ და ბავშვები კანფეტებით დაასაჩუქრა. მერე ბავშვებს დამრიგებლურად უთხრა – „ამ კაცს დაუჯერეთ, ბევრ კარგ რამეს გასწავლითო“.

„კანფეტების სერიალმა“ კარგა ხანს გასტანა. ბავშვები უკვე შეეჩვივნენ ამ „პროცედურას“ და როცა დაინახავდნენ ეზოში შემოსულ ძია ტრიფონს, მთელი ყურადღება მისკენ იყო მიმართული, მე უკვე აღარ მისმენდნენ. ძია ტრიფონი მათთვის იყო სიტკბოსი და მოფერების სიმბოლო. ბავშვებს ძალიან უყვარდათ ძია ტრიფონი არა მხოლოდ კანფეტების გამო, არამედ მისი შინაგანი დიდი სითბოს გამო.

ძია ტრიფონი უყვარდა მთელ ეზოს.

**ვანტანგი (მეზობელი)**

ჩვენო საყვარელო ძია ტრიფონ!

ქ. კონის სამედიცინო საზოგადოება, გულთბილად ავლნიშნავთ თქვენი მოღვაწეობის შესანიშნავ თარი -  
ლებს: დაბადებიდან 90 და შრომითი მოღვაწეობის  
70 წლისთავს.

მთელი თქვენი შრომითი მოღვაწეობა დიდი სკოლაა  
ჩვენთვის და ჩვენი მომავალი თაობისათვის, რომელზეც  
უნდა აღინარდოს ანაღვანებლობა.

რათღენ თბილი და უნაწესი გრძნობებით არის  
გამთბარი თქვენი მრწამსი:

„შენი მოვალეობაა ხალხს ემსახურო, ვიყვარდეს  
ავადმყოფი“... იყავი თავმოყვარე უანგარო“


„პირველად იმას დაეხმარე, ვისაც შენი დახმარება  
პირველ რიგში უსაჭიროება“.....

მსოფლიო სულით ძლიერ და სპეციალ ადამიანებს  
შეუძლიათ იცხოვრონ ასე.

ვისურვებთ ბედნიერ, მშვიდობიან, ჭანმიხეთელ სიცოცხლეს.



ჭან. კანკიფილების კამპანია -

მედ. მუშავთა პროფ. საჯ. კომიტეტი თავ-ჩე: 



## კოლორიტი

ბატონი ტრიფონ გამსახურდია იყო გორის საზოგადოების წარჩინებულ და თვალსაჩინო მოღვაწეთა კოპორტის უბრწყინვალესი წარმომადგენელი.

ჩვენს ქალაქში სუფრა ისე არ გაიშლებოდა, რომ მისი სადღეგრძელო არ დალეულიყო, როგორც მაღალი ადამიანური ღირებულებების მატარებელი კაცისა.

მასთან შეხვედრა და საქმიანი ურთიერთობა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ნებისმიერ ადამიანს.

გავიხსენებ მასთან ერთ შეხვედრას.

პატარა ქრილობა მქონდა, რომელიც არადაარხორცდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში (სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების გამოყენების მიუხედავად). მირჩიეს, ტრიფონთან მიდი, ის მოგარჩენსო. მეც აღარ დავაყოვნე, ვეახელი, ავუხსენი ვითარება და ვთხოვე დახმარება. იმ სულკურთხეული კაცისთვის სხვისი დახმარება დიდი სიხარულისა და ზეიმის მომტანი იყო. მისი საუბარი და ქცევა ისეთ ჯადოსნურ აურას ქმნიდა, რომ მომეჩვენა, თითქოს ქრილობამ უკვე დაიწყო მოშუშება.

სწრაფად ჩამონერა მომავალი სამკურნალო მალამოს შემადგენლობა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი კომპონენტი გორის აფთიაქში არ ჰქონდათ. მაშინვე დარეკა თბილისში, დაადგინა სად იყო საჭირო მასალა, მომცა პატარა წერილი და გამაგზავნა ჩამოსატანად.

მეორე დღესვე ტრიფონის უნიკალური მალამო მზად იყო და ჩემი „მოურჩენელი“ ჭრილობაც სამუდამოდ გაქრა.

ნათელში იყოს ძია ტრიფონის სული, სული კაცი-სა, რომლის დანაკლისიც ძალიან მტკივნეულია მთელი საზოგადოებისთვის.

ქალაქს დააკლდა ღირსეული მამულიშვილი.

**ცისანა ფოცხვერაშვილი**

## ქალაქის იმედი

განვლილი საუკუნის ჩვენი ქალაქის ცხოვრების გაღწერას არაერთი ღირსეული გორელის სახე, სახელი და ღვანლი ამშვენებს. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ გამორჩეული პიროვნება, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი, კეთილშობილებით აღსავსე, ბატონი ტრიფონ გამსახურდია.

ბატონი ტრიფონის სახით, ათწლეულების მანძილზე, ჩვენს ქალაქში ყველა ოჯახის იმედი დადიოდა.

ძალიან ბევრს ნიშნავს იყო ღრმად განსწავლული, ალლოიანი, ამა თუ იმ დარგის აღიარებული ავტორიტეტი. თუმცა, ადამიანების გულწრფელი სიყვარულის მოსაპოვებლად მხოლოდ ეს არ კმარა – ისეთივე უშუალობა, ყურადღებიანობა, სიკეთის მაღლი და ღიმილია საჭირო, როგორსაც ეს პიროვნება ასხივებდა.

ერთხელ, აფთიაქში ყოფნისას ასეთ ეპიზოდს შევესწარი: ბატონმა ტრიფონმა ერთ ახალგაზრდას ქილით მალამო მიანოდა, კალამი მოიმარჯვა და უხსნიდა მოხმარების წესებს და თან ამ რჩევებს ფურცელზე უწერდა.

– მხოლოდ მალამო ვერაფერს იზამს, თუ მუავეზე, მწარეზე და შემწვარ-მოხრაკულზე დროებით თავი არ შეიკავა... გასაგებია? – ამოიხედა სათვალის ზემოდან თავისი საოცრად ნათელი თვალებით და გადაკეცილი ფურცელი მისცა ბიჭს.

ახალგაზრდამ მაღლობა გადაუხადა, სამმანეთიანი დაუდო და გამობრუნდა.

– ყმანვილო, მოითმინეთ, – დაენია ფარმაცევტი.

ბიჭს ეგონა ფული ეცოტავაო და ხელმეორედ ჩაიყო ჯიბეში ხელი.

– არა, არა, ეგეთები არ იყოს!.. ეს ფული უკან წაიღე და პაციენტი როცა განიკურნება, მერე მომიტანეო, – გაეხუმრა და დასძინა, მაღამო ჩემი რეცეპტით დავამზადე და არ იყიდებო.

...ყველასთან განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩეოდა, ადამიანი უყვარდა და ფხიზლად იდგა თითოეული მათგანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ბატონ ტრიფონს შთამომავლობაც თავისი საკადრისი ჰყავს.

ღმერთმა არ დაუღლიოს ასეთი პიროვნებები ჩვენს ქალაქს, ჩვენს ქვეყანას.

**ლერი რაზმაძე**

## **ამაყი ვარ, რომ ვიცნობდი ტრიფონ გამსახურდიას**

ბატონი ტრიფონი იყო ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება თავისი პროფესიონალიზმით, მაღალი ადამიანური სულიერებით და საქმისადმი უანგარო ერთგულებით.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის შუა წლებში ქ. გორში იყო მხოლოდ ორი აფთიაქი. ერთი ქალაქის ცენ-

ტრში და ერთი რკინიგზის სადგურის წინამოედანზე.

ბატონი ტრიფონი ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ცენტრალურ აფთიაქში. იმ პერიოდში მზა წამლების არცთუ დიდი ასორტიმენტი არსებობდა და მთელი სირთულე და სიმძიმე მოდიოდა ფარმაცევტ-პროვიზორებზე, რომელთა შორისაც უდავო ლიდერად გვევლინებოდა ტრიფონ გამსახურდია. შესაბამისი წამლის დამზადებას დრო სჭირდებოდა, რაც აფერხებდა პაციენტის მკურნალობის პროცესს.

ტრიფონი გამოირჩეოდა ადამიანებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით. სწრაფად იღებდა გადწყვეტილებებს და ასევე სწრაფად ამზადებდა შესაბამის წამლებს.

ხშირად მსმენია მისი შესაქები სიტყვები. მას დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებდნენ მაღლიერი გორელები.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ აფთიაქის კოლექტივის ყველა წევრისთვის მისაბაძი მაგალითი გახლდათ ტრიფონ გამსახურდიას პიროვნება და ყველა მათგანი უკლებლივ ბაძავდა მას პაციენტებისადმი სათანადო ყურადღებისა და მაღალი დონის მომსახურების აღმოჩენაში. ნათქვამის დასადასტურებლად გავიხსენებ ერთ შემთხვევას.

ზამთარში შეშის ლუმელით ვათბობდით საცხოვრებელ ბინას. ჩემმა პატარა შვილებმა, გამოღვიძებისთა-

ნავე დაინყეს ლოგინში ხტუნაობა-თამაში. უფროსი გადმოვარდა სანოლიდან და დაეცა გახურებულ ღუმელს. მეუღლემ სწრაფად აიტაცა ხელში. საჭირო გახდა დამწვრობის სამკურნალო წამალი (მალამო). მე სწრაფად გავიქეცი აფთიაქში ყოველგვარი რეცეპტის გარეშე. ბატონ ტრიფონთან ერთად აფთიაქში მუშაობდა უალრესად კეთილშობილი ქალბატონი ლიზიკო მეგრელიშვილი, რომელმაც ელვის სისწრაფით დაამზადა შესაბამისი მალამო და გადმომცა, თან დამარიგა, როგორ გამომეყენებინა.

ამ მაგალითის მოყვანით იმის თქმა მინდოდა, რომ ბატონი ტრიფონის ირგვლივ მუდამ იყო ისეთი ატმოსფერო, რომელშიც ადამიანები გრძნობდნენ მათდამი დიდ ყურადღებას, სითბოს და ალერსს, პროფესიონალიზმს და პაციენტებისადმი კეთილგანწყობას.

ამიტომაცაა, რომ გორელები გულში სათუთად ვინახავთ ტრიფონ გამსახურდიას ხსოვნას, რომელმაც სამოც წელზე მეტი შეაღია ადამიანების ჯანმრთელობის უზრუნველყოფას და მათ სულიერ გამხენევენას.

ყველას გულში, ვინც მას ახლოს იცნობდა, იგი დარჩება, როგორც სამაგალითო და საამაყო მამულიშვილი.

**ანზორ მცურავიშვილი**

## ბატონ ცრიფუნს

ლეს თქვენს წინაშე გაჭირვებული  
 მოითხოვს ფურცელს -  
 განუჩივრებლად კეთილი გულის  
 ვის რამაღრებით დასურათს.  
 რომ ყველასათვის და განსვთ  
 ლამაზად დასურათს დასურათს.  
 ლამაზად მიფრთხილეს კვლავ  
 მსურვალად გულის თქვენა  
 სიკეთის ღმერთად დაბადებულად,  
 რომ გაჭირვებულთ არ მოაკლდეთ  
 თქვენ დასურვალ თანად

როსსუდან ნათქაშად

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი  
 20/IX - 86წ.



## აფთიაქი

(ტრიფონ გამსახურდიას)

ვაზაზე ვაზად შემოხვეული,  
სიბრძნის და სიკეთის დასტურად,  
უხსენებელის სხარტი სხეული  
აქ ბატონკაცურად დაცურავს.

ყველაფერს თეთრი ადევს ელფერი,  
უმაღლეს ხარისხში ასული,  
დასრიალებენ თეთრი ელფები –  
დუმილის სამეფოს ასულნი.

კედელს ნეონის აკრავს სტრიქონი,  
ვითარცა რძისფერი თარაზო.  
ვხედავ, თბილ ლიმილს ძია ტრიფონი  
რეცეპტის გარეშე მთავაზობს.

**ჯემალ ინჯია**



## საოცარი პიროვნება

ბატონი ტრიფონ გამსახურდია მართლაც იყო ჩვენი ქალაქის კოლორიტი, გამორჩეული სიკეთით, თავაზიანობით და არაჩვეულებრივი იუმორით.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზეიმო ღონისძიებებზე თუ სხვა შეხვედრებზე, ხშირად მსმენია მის, როგორც სანიმუშო პიროვნების შესახებ. შევსწრებივარ წვეულებებს, სადაც სხვა ღირსეულ გორელებთან ერთად მისი სადღეგრძელოც დაუღვევიათ კეთილი გრძნობით და სიამაყის განცდით.

მე კი ბატონი ტრიფონი ერთმა შემთხვევამ გამაცნო. ეს იყო გასული საუკუნის 70-იანი წლები. იდგა მაისის თვე. ვენზე გორის ცენტრალურ აფთიაქს წამლისათვის. მქონდა გამწვავებული ალერგია მცენარეების ყვავილთა მტვერზე. დავდექი რიგში, მაგრამ ალერგიულმა შეტევამ არ მომცა საშუალება ბოლომდე ვმდგარიყავი რიგში და იძულებული გავხდი, გავცლოდი ადამიანებს. ჩემი ეს მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მინების იქით, თეთრ ხალათში გამოწყობილ მაღალ-მაღალ, ხმელ-ხმელ კაცს. ორიოდ ნუთის შემდეგ ხელის დაქნევით მიმიხმო თავისთან. ვიცანი, ის იყო ჩემი ახლო ნათესავის მეზობელი, ერთ სადარბა-

ზოში მაცხოვრებელი. გამომკითხა ჩემი მდგომარეობის შესახებ. მომცა რჩევა, გამონერა წამალი და მითხრა, გამევლო ერთ საათში წამლის წასაღებად.

მკითხა, აქაური ვიყავი თუ არა. ვუპასუხე, რომ ჩამოსული ვარ, ამჟამად აქ ვცხოვრობ და ვარ სიძე მისი მეზობლის, ლეონიდ (ლენო) აბულაძისა. შემდეგ დაინტერესდა ჩემი მეუღლის გვარით. მივუგე მეუღლის გვარი – ნინოშვილი. მკითხა, დათიკო და მარლენ ნინოშვილებისა რა არისო? ვუპასუხე, დათიკოს უფროსი ძმისშვილია და მარლენის ბიძაშვილი-მეთქი. გააგრძელა: შენ ისეთი ხალხი დამისახელე, ისინი თავიანთ ღვიძლ ნათესავს ცუდ კაცს არ გაატანდნენო.

ბოლოს მკითხა, რა გვარის ხარო? მივუგე, პაპუაშვილი. მეორე სკოლის დირექტორი ვინ არის შენო. ვუპასუხე: ბატონო ტრიფონ, მე თვითონ გახლავართ-მეთქი. ხმამაღლა წამოიძახა: „ოჰ, აგაშენა ღმერთმა, ერთ საათში გამოიარეო“. ასეთი იყო ჩვენი გაცნობა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ღირსეული გორელების სახელი დავინწყებას არ ექვემდებარება. დღესაც საზოგადოება ხშირად კეთილად მოიხსენიებს მათ და მათ შორის განსაკუთრებული სიტბოთი ბატონ ტრიფონ გამსახურდიას.

ნათელი დაადგეს მის სულს.

**ლერი პაპუაშვილი**

## მკურნალი ზეადამიანური ბუნებით

ტრიფონ გამსახურდია განსაკუთრებული მოვლენა იყო ჩვენი ქალაქისთვის. ყველა იცნობდა და პატივს სცემდა მას. უზადო პროფესიონალი, ზებუნებრივი სიყვარულის უნარის მქონე და ათი მცნების ცხოვრებაში გამტარებული. ყოველწამიერად დახმარებისთვის იყო მომართული. არ კითხულობდა ვის ეხმარებოდა – შინაურსაც და უცხო-საც ერთნაირი გულისხმიერებით ეკიდებოდა. მაღლიანი მკურნალი მეც დამეხმარა და თანაც როდის?!

მშობიარობის შემდეგ მასტიტი დამემართა. რა სა-შუალებას აღარ მივმართე, რა აღარ ვცაადე, მაგრამ უშედეგოდ. მდგომარეობა უფრო და უფრო რთულ-დებოდა და ოპერაციამდე მივიდოდა საქმე, რომ არა კეთილი ადამიანების რჩევა: „ჩვენი ტროფონი ნახე და ის აუცილებლად გიშველისო“.

მივადექი მის საცხოვრებელ ბინას. კიბეები ავიარე და რატომღაც გული ამიძგერდა. ზარის წკრიალზე გაღებული კარის ღრიჭოდან მწუხარე ხმით მაუწყეს: „ბატონი ტრიფონი ძალიან ცუდად არისო“. ტკივილით შეწუხებული უფრო მეტად შევწუხდი მისი მდგომარეო-ბით. მივხვდი, რომ უნუგეშოდ იყო საქმე, სხვა შემთხ-ვევაში თვითონვე გამოვიდოდა ჩემს მოსასმენად.

წამოსვლა დავაპირე და უცებ მისი დასუსტებუ-ლი ხმა შემომესმა ოთახის სიღრმიდან – ვინ არისო,

კითხულობდა. მოახსენეს ჩემი ვინაობა, შემდეგ მისივე დავალებით ჩივილები გამომკითხეს და კარს უკან გაუჩინარდნენ. ცოტა ხანში ხელთ მქონდა ნანატრი რეცეპტი. დღემდე სათუთად ვინახავ უკვე გაყვითლებულ რეცეპტის ფურცელს, რომელმაც ოპერაციისგან მიხსნა მეც და შემდეგში ჩემნაირი პაციენტებიც.

მეორე დღეს მისი გარდაცვალების ამბავი გავიგეთურმე, სიკვდილის სარეცელზე უფალთან შესახვედრად ემზადებოდა და საიქიოსკენ მიმავალიც კი პროფესიულ ვალზე ფიქრობდა და სხვისი დახმარება შეძლო.

ასე მგონია, გარდაცვლილ ტრიფონ გამსახურდიას სანთელი აღარც სჭირდება – კეთილი საქმეების სიმრავლით გაჩირალდებული ექნებოდა იმქვეყნიური გზა-სავალი.

**მანანა თარაშვილი, ჟურნალისტი**

Rezorცინი 8,0  
 Pyramidon 8P  
 ზღ. ბიკანოვი  
 1,5 — 500,0  
 1.5.1968

აორსუფეზოლინი  
 3643 Steptocin ზღ.  
 44 Jan Eucalif 12,0  
 50 57 Pyramidon 8,0  
 52 ზღ. ბიკანოვი 500,0

## მეზურნე სანდრა

(იხსენებს ინციდენტის მომსწრე)

აფთიაქში, ტრიფონ გამსახურდიასთან საკმაოდ ხალხმრავალი რიგი იდგა. მე ჯერ ახალი მისული ვიყავი და რიგის ბოლოში ვიდექი. ამ დროს აფთიაქში შემოვიდა გორში, „მეზურნეს“ თიკუნის მატარებელი, სამოციოდე წლის საკმაოდ ხორცსავსე და ღიპიანი კაცი; ხელში რაღაც ქალღიმი ეჭირა; არაფრად ჩააგდო მომლოდინე ადამიანები და რაღაცნაირი პრეტენზიულობით მიადგა ბატონ ტრიფონს, რომელიც რეცეპტებსა და წამლებს ჩაჰკირკიტებდა. თავი აწია, შეათვალიერა მიმსვლელი და საკმაოდ გარკვევით და ნაწყენი კილოთი შეეკითხა:

– ბატონო, თქვენ თუ მხედველობას უჩივით, ჩემთან არ უნდა მოსულიყავით...

– არა, ბატონო, მხედველობას არ ვუჩივი...

– მაშინ, რატომ ვერ ამჩნევთ ამ პატარა გოგონას, რომელიც ერთ საათზე მეტია, რაც რიგში დგას, იქნებ როგორ უჭირს და როგორ ეჩქარება?!

„მეზურნემ“ მორგევით მრგვალი თავი დახარა და ჩუმი ნაბიჯებით წავიდა გასასვლელისკენ.

თამაზ რობაქიძე

# ტრიფონ პეტრეს ძე გამსახურდიას ჯილდოები და საპატიო სიგელები

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

## ПОЧЕТНАЯ ГРАМОТА

გორის ქადაგის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება, მედიცინის  
მუშაკთა პროფკავშირის გორის საქადაგო კომიტეტი, დამრიგებელთა საქა-  
დაგო კონფერენციასთან დაკავშირებით აჯილდოვებს რაი ცენტრალური  
აფთხაქის კონტროლიორ-რევიზორს ტრიფონ პეტრეს ძე გამსახურდიას ახად-  
გაზრდობის დამრიგებლობის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაო-  
ბისათვის.

ქ. გორის ჯანმრთელობის  
დაცვის განყოფილების  
მდივანი: გ. ბეღელიძე



მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის  
გორის საქადაგო კომიტეტის  
მდივანი: გ. ა. ხარხელი





*Пролетарии всех стран, соединяйтесь!*

# ПОЧЕТНОЙ ГРАМОТОЙ

*награждается* ГАМСАХУР ДИЯ Трифон Петрович  
рецептар-контролер Горийской ц/р аптеки ГАПУ  
 За плодотворную и безупречную работу в деле  
 медицинского обслуживания населения в связи  
 с 80-летием со дня рождения и 60-летием  
 трудовой деятельности.

НАЧАЛЬНИК ГАПУ МЗ ГССР

*Халис* / Г. ХАНТАДЗЕ /

СЕКРЕТАРЬ ПАРТОРГАНИЗАЦИИ *Шингу* Е. ТИНДЖИКАШВИЛИ /

ПРЕДСЕДАТЕЛЬ МЕСТНОМА *В. Павлиашвили* / В. ПАВЛИАШВИЛИ /

# გ ო წ გ ო ბ ა

გვიცათ მოქალაქეებს

გამსახუხდია სხიფონ პუხეჟ ძე  
და აღამიძე ელენა ილახიფონის ასული  
დასტურად იმისა, რომ 1984 წლის „16“ ივნისს

გაიმართა მათი

**ჯილდოების ქონების**

საზაიფო რიტუალი.

რიტუალის შესრულება ჩაინერა თბილისის

სადღესასწაულო ცენტრის

**„ოქროსა და ვერცხლის ქორწილის გატინაჟი“.**

უსურვებთ მათ ბედნიერებას, სიხარულს, ერთგულებით

აღსავე დიდი ხნის სიცოცხლეს!

**სადღესასწაულო ცენტრი**



ПРОЛЕТАРИИ  
ВСЕХ СТРАН,  
СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# ПОЧЕТНАЯ ГРАМОТА

სამედიცინო დარგში ხანგრძლივი და წყნადი  
მუშაობისათვის, დაბადების 90 და მრთობილი საქმიანობის

70 წლისთავის აღსანიშნავად

და პ ი ლ დ მ ვ დ ა

გორის ცენტრალური რაიონული აფთიაქის პრეზიუმორ-ტექნიკოსი

მ რ ი შ მ რ ა ე მ რ ე ს ძ ე მ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა

საქართველოს კა გორის საქადამო  
კომიტეტის პირველი მდივანი


მ.გ. ჩუბინიშვილი

გორის სახალხო დეპუტატთა  
საქადამო სამედიცინო-მანქანობის  
და ვეჯდომარე

მ.გ. ნაშინიშვილი

19 სექტემბერი 1986 წელი

მ. გ. რ ი



ПРОЛЕТАРИИ  
ВСЕХ СТРАН,  
СОДИНЯЙТЕСЬ!

# ПОЧЕТНАЯ ГРАМОТА

სამედიცინო დარგში ხანგრძლივთ და წაყოფიერნი  
მუშაობისათვის, დაბადების 90 და შრომითი საქმიანობის

70 წლისთავის აღსანიშნავად

დასჯილი მისი

გონის ცენტრალური რაიონული აფთხიანის პრეზიუმირ-გუქნილოვანი

გ რ ი ბ რ ნ ვ ე ბ რ ე ს ი ე ბ ა მ ს ა ხ შ რ დ ი ა

საქართველოს კა გონის საქადაქო  
კომისიის პირველი მდივანი



მ.გ. ჩუბინიშვილი

გონის სახადლო დაჯიჭვება  
საქადაქო საბჭოს აღმასკომის  
თავმჯდომარე

მ.გ. ნაჭირიშვილი

19 სექტემბერი 1986 წელი

მ. გ ბ რ ი





**ქალქა გორის ცენტრალური რაიონული აფთიქაქის პროვიზორ-  
ტექნოლოგის ტრიფონ პეტრეს ქე გამსახურდიას ქალქა გორის  
საკატირო მოქალაქედ კრჩევის შესახებ**

საქართველოს კვ გორის საქალაქო კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა  
გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ადგენენ:

სამედიცინო დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის არ-  
ჩეული იქნეს ქალქა გორის საკატირო მოქალაქედ გორის ცენტრალური რაი-  
ონული აფთიქაქის პროვიზორ-ტექნოლოგი

**ტრიფონ პეტრეს ქე გამსახურდია.**

საქართველოს კვ გორის საქალაქო  
კომიტეტის პირველი მდივანი



სახალხო დეპუტატთა გორის საქალაქო  
სახჭოს აღმასკომის თავმჯდომარე



1986 წლის 19 სექტემბერი.

დ. გ. რ. ი.

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# ПОЧЕТНАЯ ГРАМОТА

Մարմատինն ըսրձձն ԿԱՆԳՐՎՈՒՅՑ ԸՄ ՇԱՄՊԻՈՆՐ ԵՄՅԱՌՑՈՒ-

ԿԱՊՅԻՆ, ԸՄԵՒԸՅԻՆ 90 ԽՈՒՆԿԱՅԿԱՆ ԸՄԿԱՅԻՆՈՒԹՅՈՒՆ, ՔՈՒՆ-

ԸՄՅԸՅՈՒ Գ. ԶՈՒՆԻՆ Մ1 ԱՄՈՒՅՑԻՆ ՄԱՐՄԱՏԻՆԻ ԹՐԻՄՈՒՆ

ՅՈՒԹՐԱՆ ԵՄ ԶԱՆՅԱԿՅՐԸՆԱ:



Սարկ ՆԱԿՅՈՒԿՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ

ԿՈՒՐՑՅԱԿԻՆ ԿՈՒՐՑՅԱԿԻՆ ԲՈՒՅՐԻ: Գ. Զ. ԶՈՒՆԻՆ


ԿՐԿՐՈՒԹՅԱՆ ԿԱՅԵՐՁՈՒԹՅԱՆ: Կ. Վ. ԿՐԿՐՈՒԹՅԱՆ

17 ԱՄԹԵՆԲԵՐԻ 1986 Ք









**პატივცემულ** \_\_\_\_\_

1986 წლის — ივლისს, საღამოს 7 საათზე, გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქ. გორისა და გორის რაიონის საზოგადოებრიობა აღნიშნავს სამედიცინო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის, ფარმაცევტ

**ბრიგონე პეტრეძე ქე გამსახურდიას**  
 დაბადებიდან 90 და შრომითი საქმიანობის 70 წლისთავს.


გთხოვთ გვეწვიოთ.

მ. ფ. ბ. ს., პუბლიკის პრ. 50

თუ შორიდან ილოცება სიხე,  
 მამაპაპს აცხია ნუშისუბრი კაბა,  
 გორილავი ბახეპიანა კრალვით,  
 ჩხანო ბაგილო და კეთილო პაპა!

## სარჩევი

1. წინათქმა .....	3
2. სათავეებთან .....	7
3. ჩემი მრწამსი .....	14
4. შრომით ასპარეზზე .....	16
5. თბილი კერა .....	27
6. ვინ, რა, როდის .....	39
7. მოგონებები .....	57
8. სიგელები, ორდენები, მედლები .....	96



## ვახტანგ ჭანკოტაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლისა და აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.

ავტორია ათეულობით სამეც-

ნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის.

გამოცემული წიგნები: „ბედისწერა“ (რომანი), „ლეგენდები“ (ლექსები), „გენერალი გორიდან“ (მონოგრაფია), „ბოლო ვაგონის ლექსები“, „მხიარული რითმები“, „იხარეთ“ (საბავშვო ლექსები), „ხსოვნის წიგნი“ (ოთხ ნაწილად), „სითბო ჩემკენ და ჩემგან“ (ლექსები), „კიბის 75 საფეხური“, „ალმასა“ (მოთხრობები, ნოველები), „აჯაფსანდალი“, „მინიატურების ალლუმი“, „ტელეპათიური თავგადასავლები“, „იგავ-არაკები“, „მტვენის ნაჟური“ (ლექსები), „ნოსტალგია“ (ლექსები, ნოველები), „პუბლიცისტიკა“, „აბა გამოიცანი“ (საბავშვო ლექსები), „თიკუნები“, „გველების სასაფლაო“, „როგორ გავზარდოთ მოგების შანსი“, „ბერმუხა“, „კვლევითის“ დირექტორები“, „მესამე გზა“, „27 შვილის მამა“, „კაცი ლეგენდა - ტრიფონ გამსახურდია“.



წმინდა სანთელთან ბირჯვარს ვიწვრეთ

(ვინ არხვეს ენოსს?),

ვიპარჯვეთ ერთ ღროს, ვმალოდებოდით,

ვჭედავდით ღირს ღრეს,

და იქნებ ღირღეს, რომ სანთელი

ბულოებშიც გვენთოს,

კაფი კაფს ენდოს და სიკეთის

ზეიბი იღკეს.

